საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 23 (2136) | ხუთშაბათი, 8 თებერვალი, 1996 წელი. | ფასი 30 თეთრი

ბიუჯეტის პროექტი მზად არის პარლამენტში წარსადგენად

6 თებერვალს გაიმართა საქართველოს მთავრობის სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. განიხილეს საქართველოს 1996 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომელზეც უკვე იმსჯელეს საპარლამენტო კომიტეტებში. 9 თებერვალს პრეზიდენტი აღნიშნულ პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს ფინანსთა მინისტრის დავით იაკობიძის ინფორმაცია ბიუჯეტის პროექტის სრულყოფისათვის გაწეული მუშაობის შესახებ. გაეცნენ ცვლილებებს, რომლებიც განიცადა პროექტმა განხილვის პროცესში. ამ ცვლილებების შედეგად, რასაც არ მოჰყოლია ბიუჯეტის პრიორიტეტების შეცვლა, ბიუჯეტის ხარჯები გაიზარდა 12 მილიონი ლარით, ანუ იმ თანხით, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოყო თურქმენეთის ვალის დასაფარავად. საბოლოოდ ბიუჯეტის გასავლის ნაწილი განისაზღვრა 784 მილიონი ლარით, ხოლო შემოსავლებისა — [illegible] მილიონი ლარით.

საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯების შემცირების შედეგად ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტის ხარჯები დაახლოებით 9 მილიონი ლარით გაიზარდა, აქედან თბილისის ბიუჯეტის ხარჯების ნაზარდი 6 მილიონ ლარს შეადგენს. საქართველოს ცენტრალურ და ქუთაისის ბიუჯეტებს შორის ანგარიშსწორება არსებული ნორმატივების შესაბამისად განხორციელდება.

ამავე დროს, შემუშავდა შემოსავლების ფორმირების ახალი მექანიზმი — საპროგნოზო მაჩვენებლის ანუ გეგმის 102,5 პროცენტის ზევით შესრულების შემთხვევაში, ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტი მიიღებს დამატებითი შემოსავლის 80 პროცენტს, სამხარეო ადმინისტრაცია — 10 პროცენტს, დანარჩენი 10 პროცენტი კი შევა რესპუბლიკურ ბიუჯეტში.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დამატებითი ღირებულების გადასახადით არ დაიბეგრება ხორბალი, ასევე საქართველოს საპატრიარქოს ნებართვით ტაძრებისა და ეკლესიების მშენებლობა, რესტავრაცია და მოხატვა.

1996 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიღებისთანავე უქმდება ყოველგვარი საგადასახადო შეღავათი, ხოლო ნავთობპროდუქტებზე საბაჟო, აქციზისა და დამატებითი ღირებულების სანაცვლოდ შემოღებული იქნება ერთიანი ფიქსირებული გადასახადი მისი საბაჟო ღირებულების 15 პროცენტის ოდენობით.

სხდომაზე ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოთქვეს ბატონებმა თემურ ბასილიამ, ვლადიმერ პაპავამ, ზაურ გელუამ, გურამ მამულაშვილმა, ლერი გიგინეიშვილმა, ზაზა სიორიძემ. პროექტი მოიწონა სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა.

სხდომა შეაჯამა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც დადებითად შეაფასა ბიუჯეტის პროექტის გამო პარლამენტის კომიტეტებსა და სამინისტროებში გაწეული მუშაობა. მან აღნიშნა, რომ საქართველოში ყალიბდება ცივილიზებული ქვეყნისათვის დამახასიათებელი ბიუჯეტის შედგენისა და განხილვის პრაქტიკა, რაც უსათუოდ აისახება მომავალი 1997 წლის ბიუჯეტის შედგენის პროცესში.

პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

სხვა გაზეთებიდან

პანტელეიმონ გიორგაძე: „ერთიანობას ჰუმანური საშუალებებით უნდა მივაღწიოთ“

ამ დღეებში საკავშირო კომპარტიის — საბჭოთა კავშირის კომპარტიის საბჭოს პოლიტაღმასკომმა მიიღო განცხადება შევარდნაძის მიერ გაჩაღებული ანტიაფხაზური კამპანიისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურების საბჭოს გადაწყვეტილების გამო. პოლიტაღმასკომმა პირდაპირ განაცხადა, რომ ბლოკადა აფხაზეთის მიმართ მის მრავალტანჯულ ხალხს შიმშილით სიკვდილს უქადის, რომ ეს სანქციები ეწინააღმდეგება მსოფლიო გაერთიანებაში ელემენტარულ საყოველთაოდ აღიარებულ მორალურ-სამართლებრივ ნორმებს და არა მარტო საფრთხეს უქმნის აფხაზეთის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას, არამედ შეიძლება გააჩაღოს კიდეც ომი კავკასიაში.

ამ განცხადებას მთლიანად დაუჭირეს მხარი საქართველოს კომუნისტებმა (მხედველობაშია საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტია — რედ.). მიგვაჩნია, რომ ბლოკადის გამოცხადება — ეს არის ყველა ჰუმანური ნორმის დარღვევა. ეს დაუშვებელია, მით უმეტეს, რომ სანქციები მიმართულია ხალხის წინააღმდეგ, რომელთანაც საუკუნეთა მანძილზე ერთად ვცხოვრობდით ერთიან სახელმწიფოში. მიგვაჩნია, რომ შევარდნაძემ შეცდომაში შეიყვანა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურები. გვახარებს, რომ ორმა ხელმძღვანელმა მაინც გამოიჩინა ვაჟკაცობა და ამ გადაწყვეტილებას ხელი არ მოაწერა. სინანულს გამოვთქვამთ, რომ რუსეთის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა სანქციებს. განა შეიძლება ოჯახში ერთიანობის მიღწევა პისტოლეტისა და შიმშილის მეშვეობით?

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ საქართველოს კომუნისტები არ იბრძვიან ერთიანი საქართველოსათვის, მაგრამ ერთიანობის მიღწევა, ჩვენი აზრით, შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ჰუმანური პოლიტიკური საშუალებებით და არა იარაღის ჟღარუნით, რასაც საქართველოს პრეზიდენტი მიმართავს.

ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ ერთიან სახელმწიფოში ერთად აჭარლებთანაც, სომხებთანაც, მით უმეტეს აფხაზებთან და ოსებთან, სხვათა შორის, უნდა ითქვას, რომ ურთიერთობა გვაქვს აფხაზ კომუნისტებთან, და ჩვენს შორის უთანხმოებანი არ არსებობს. შეგახსენებთ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სახელმწიფოთა მეთაურებმა დაავალეს თანამეგობრობის წევრ სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოსა და თავდაცვის მინისტრების საბჭოს მოამზადონ 1996 წლის 19 თებერვლამდე სამშვიდობო ძალების ახალი მანდატი, რომელიც, თუ საგნებს თავიანთ სახელს დავარქმევთ, ითვალისწინებს მათ მიერ პოლიციური ფუნქციების შესრულებას, აფხაზეთის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ლიკვიდაციასა და მათი სამხედრო კომენდატურით შეცვლას. განა ეს მშვიდობისა და შეთანხმების გზაა?

ნადეჟდა გარიფულინა,
„პრავდა“, 1996 წლის [illegible] თებერვალი

ამ მასალის კომენტარით თავს არ შევაწყენთ, ისედაც ყველაფერი ნათელია.

ნათელია, რომ ძალიან გასჭირვებიათ რუსეთში კომუნისტებს, პანტელეიმონ გიორგაძის „ბრძნული“ ციტატები რომ გამოაქვთ „პრავდის“ პუბლიკაციის სათაურში.

ისიც ნათელია, თუ ვის მფარველ „წითელ ანგელოზებად“ მოგვევლინენ ნეოკომუნისტები — აფხაზ სეპარატისტებს უმაგრებენ ზურგს, კაცისმკვლელებს, ქართველთა გენოციდის ორგანიზატორებს.

ვინ არიან სეპარატისტები? წაიკითხეთ დღევანდელ ნომერში მასალა „ქართველთა გენოციდი აფხაზეთში“.

ვინ არის გიორგაძე, რა პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს? ამაზე პასუხს აქვე გამოქვეყნებული განცხადება გაგცემთ.

პ. გიორგაძე არ წარმოადგენს ქართველ კომუნისტებს

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

ბოლო დროს, საქართველოსა და სხვა ქვეყნების მასობრივი ინფორმაციის საშუალებები პ. გიორგაძეს წარმოგვიდგენენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერად, რომელიც საქართველოს კომუნისტთა სახელით აკეთებს მთელ რიგ პროვოკაციულ განცხადებებს.

პ. გიორგაძეს საქართველოს კომუნისტურ პარტიასთან არავითარი საერთო არა აქვს, მით უმეტეს ის არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს საქართველოს კომუნისტებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გმობს, ეგრეთ წოდებული ერთიანი კომპარტიის ლიდერის პ. გიორგაძის განცხადებებს, რომლებიც ხელს უწყობს ქართველი და რუსი ხალხების დაპირისპირებას და აფხაზეთის კონფლიქტის გაღრმავებას.

გამოძიება ბრალს სდებს

ქართველების გენოციდი აფხაზეთში

3. ცოცხალ კაცს სკალპი ააჭრეს

ცნობილი ფორმულა — ერთი კაცის სიკვდილი ტრაგედიაა, მრავლისა — სტატისტიკა, — სიტყვიერი ეკვილიბრისტიკის ნაყოფია გნებავთ, — ხისტი აზროვნებისა.

ასე მეჩვენება, აფხაზეთში ქართველთა გენოციდის მასალებს რომ ვეცნობი, და, მგონი, არ ვცდები.

სტატისტიკაო?!

დედამიწაზე დაუტევარი ტკივილია და ამ ტკივილით გაჟღენთილია აქ ყველაფერი.

ტკივილი კივის უპატრონო საფლავებიდან, დაამებას ითხოვს ღია ჭრილობა ყველა ჩვენგანის.

87-ის დეკემბერში გატიალებულ ქაბულში დაობლებული ბავშვების სახლში მიგვიყვანეს.

— ამათი დედა მოჯაჰედებმა აწამეს.

— ამათი მშობლები დაბომბვის დროს დაიღუპნენ..

დიდი, ძალიან შეშინებული თვალები, უმწეოდ დაშვებული პატარა ხელები, გადახოტრილი თავები, და უნიფორმა — უდედმამობის პირველი ნიშანი.

ერთი კოლეგა მოიხმობს თარჯიმანს და — ჰკითხეთ იმ პატარას, როგორ მოკლეს დედამისი მოჯაჰედებმა.

— ხომ არ შეიშალე-მეთქი! გამიგეთ?

ის, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, არ არის პროფესიული ჩხრეკით მოპოვებული მასალა, თვითმხილველთა მონათხრობია; არც მარტო დოკუმენტია გამოძიების, კაცისმკვლელთათვის წაყენებული ბრალდებაა.

ლაპარაკობენ თვითმხილველები.

ნ. ხარაიშვილი: გაგრაში ქართველთა წამების, მათი ქონების ძარცვის და განადგურებისას, სეპარატისტები სახალხოდ გაიძახოდნენ — გაგრა-ლესელიძის ზონაში ყველა ქართველი უნდა გაწყდეს, ქართული წიგნები, კულტურის ძეგლები, ქართველთა სახლები დაიწვასო, იმუქრებოდნენ, რომ დახვრეტდნენ ყველა იმ არაქართველს, რომელიც დაეხმარებოდა და შეიფარებდა დევნილებს.

თ. ბარკალაია: აფხაზებმა თვალწინ მოკლეს ბიძაშვილი, ლიხაველი მშვიდობიანი მოსახლე ცეზარ ქველიძე, ჯერ მოაჭრეს ცხვირი, ყური და ფეხი მუხლსქვემოთ, შემდეგ დახვრიტეს. ასევე აწამეს და მოკლეს 70 წლის ანდრო სიმონიშვილი.

მ. მგელაძე: მთელი ღამე შიშველი, მუხლამდე წყალში გვყავდით ჩაყენებული. ჩეჩენმა „ბოევიკმა“ დანით გადამიჭრა მარცხენა ხელი, ჩემი სისხლით აავსო ჭიქა და შემომთავაზა დამელია. უარი რომ მიიღო, ცინიკურად ბოდიში მომიხადა შემდეგი სიტყვებით: „ძმაო, არ გეწყინოს, მე შენს სისხლს კი არა, ყველა ქართველის სისხლს ვსვამ“ და დალია, თან დამემუქრა, თუ აფხაზეთის ტერიტორიას არ დატოვებდა ყველა ქართველი, მათი გაწყვეტა გარდაუვალიაო.

ჯ. აბრამიშვილი: ჩემი ქმარი სოფელ იფნარში წამებით მოკლეს, ჯერ დანით დაუსერეს სახე და ტანი, შემდეგ კი ცოცხალი თხრილში ჩააგდეს და ტრაქტორით მიაყარეს მიწა.

ა. ჯაფარიძე: აფხაზი სეპარატისტები სახლში შემოგვივარდნენ, დანა გამომისვეს ყელში, საწამებლად ცოცხლად დამტოვეს, ასე აწამებდნენ ქართველებს, რომ გაქცეულიყვნენ. მანამდე სოფელში სახალხოდ დახვრიტეს თვრამეტი კაცი: ნოდარ და ავთანდილ მაისაშვილები, ვივი, ელგუჯა, თამაზ და გელა მაისურაძეები, გოგია და გია გოქსაძეები, ჯემალ და [illegible] გოგიბერიშვილები, კოწია ნადირაშვილი, ინდიკო გრძელიძე, გურამ კობეშავიძე, ვიქტორ მეშველდიშვილი, ვიქტორ და ომარ კერესელიძეები, [illegible] გოგლიძე და შოთა ჩიქვილაძე.

ნ. ჯაიანი: 25 სექტემბერს ყანაში დამატყვევეს აფხაზმა ბანდიტებმა, მიწა ამომათხრევინეს და ჩემს თვალწინ დახოცილთა სამი გვამი დამამარხვინეს. შემდეგ უმოწყალოდ მცემეს. წამიყვანეს გუდაუთაში და 25 დღის განმავლობაში სხვა ქართველებთან ერთად ტყვეთა ბანაკში ვიყავი. იქ სისტემატურად მაწამებდნენ, ბოლოს დანით მომაჭრეს ყური.

ნ. ჯანაშია: 1992 წლის 2 ოქტომბერს ჩემს ეზოში სეპარატისტებმა დახვრიტეს ძმები ვახტანგ და გელა შონიები, ხოლო ვახტანგის ცოლი საჯაროდ გააუპატიურეს.

ნ. ხადიშვილი: ჩვენი სოფელი სეპარატისტებმა დაიპყრეს, მშვიდობიანი მოსახლეობის უმეტესობა — ქალები და ბავშვები ტყვედ წაასხეს. აფხაზმა და ჩეჩენმა „ბოევიკებმა“ მშობლების, ძმების და სოფლის მოსახლეობის თვალწინ საჯაროდ და გაუკუღმართებული ფორმებით გააუპატიურეს 12-16 წლის 25 გოგონა. უმწეო ბავშვებზე ჯგუფურად მასობრივი ძალადობა მთელი კვირა გრძელდებოდა. გაუპატიურების შემდეგ მცირეწლოვან გოგონებს ძუძუების კვერტები დააჭრეს...

მარტო ეს არის საკმარისი განაჩენის გამოსატანად, საუბედუროდ, სადისტური ბოროტმოქმედების მაგალითები ბევრია, ან-

(დასასრული მე-8 გვ.)

---

[*] დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ №№ 20-21.

მეცნიერება

ისუნთქეთ ღრმად,

რადგან ჭეშმარიტება ოზონშია

და არა ღვინოში, როგორც ამტკიცებდნენ ძველი რომაელები, კიდევ უფრო ძველი ბერძნების მიბაძვით მარცხენა მხართეძოზე წამოწოლილები, წყალ-ღვინოს რომ მიირთმევდნენ და ნამდვილი ღვინის ფასიც არ იცოდნენ, არათუ ოზონისა, თუმცა, რომაელების რა გვიკვირდეს, როცა ყოვლისმცოდნე ბერძნებიც ვერ მიხვედრილიყვნენ...

ისე კი, რა დიდი მიხვედრა ამას უნდოდა, როცა ყველაფერი ძალზე მარტივად ხდებოდა და დღესაც ასევე ხდება: მოგეხსენებათ, ჭექა-ქუხილს იწვევს ელვა, რომელიც წარმოადგენს მეტად მაღალძაბვიან ელექტრულ განმუხტვას. ჟანგბადის მოლეკულა, რომელიც ორი ატომისაგან შედგება, განმუხტვის არეში რომ მოხვდება, ატომებად იშლება. შემდეგ ეს ატომები მიეკედლებიან ასევე თავის დაუშლელ თანამოძმეთ, ე. ი. მოლეკულურ ჟანგბადს და წარმოიქმნება ელემენტ ჟანგბადის ალოტროპული სახესხვაობა — სამატომიანი ჟანგბადი, ანუ ოზონი. ესაა და ეს. მაგრამ ამ ოზონს იმდენი საოცარი თვისება აქვს, რომ მათი სრული ჩამოთვლაც კი ერთ საგაზეთო სტატიაში შეუძლებელია.

ოზონის ყველა თვისება პრაქტიკულად იმით არის განპირობებული, რომ იგი ადვილად კარგავს იმ მესამე, მიკედლებულ ჟანგბადის ატომს, რომელიც მეტად „აღგზნებული“ ტოვებს თავის „ნავსაყუდელს“ და რასაც გზაზე მოახელთებს, მზად არის „შეჭამოს“ ე. ი. დაჟანგოს. საზოგადოდ მოლეკულური, ანუ ორატომიანი ჟანგბადი უშუალოდ არ შედის ჟანგვის, ანუ წვის რეაქციაში. მას შეუძლია საკმაოდ მშვიდად „უყუროს“ თავის მომავალ „საკბილოს“. იმისათვის, რომ ჟანგვის რეაქცია დაიწყოს, საჭიროა ისეთი პირობები შეიქმნას (მაღალი ტემპერატურა, [illegible] ზედაპირი და სხვა), რომელიც შლის ჟანგბადს ატომებად. ეს ატომები კი უკვე იწყებენ აქტიურ მოქმედებას. ხოლო ოზონი ნებისმიერ სხვა ნივთიერებასთან „[illegible]“ [illegible] გამოყოფს იმ აქტიურ ატომს, რომელიც მზადაა ყველა და ყველაფერი დაჟანგოს.

აბა, რაღა აქვსო მაგ ოზონს სასიკეთო, იკითხავს მკითხველი და საქმეში [illegible]. მაგრამ [illegible]: გველის შხამიც ხომ წამალია. მაგრამ ზედმეტისაგან დაგვიფაროს ღმერთმა! საზოგადოდ, ყველა წამალი ცოტაა წამალი, თორემ ბევრი საწამლავია. ეს ნაწილი ოზონსაც ეხება. ოზონი იმ [illegible], რომ იგი ცოტაც კი ჩვენი [illegible] — სხვადასხვა მიკროორგანიზმებისათვის საწამლავია. [illegible] — [illegible]. [illegible], სულის [illegible], მამაკაცური პოტენციის შენარჩუნება, ქალური მიმზიდველობის აღდგენა და ა. შ. ა. შ.

დღეს, შეიძლება ითქვას, რომ ოზონი ყველაზე „მოდური“ აირია მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში. მისი „მოდურობა“ ანუ ის, რომ უკვე რამდენიმე ათეული წელია, ოზონი ყურადღების ცენტრშია მეცნიერების და ტექნიკის სულ სხვადასხვა სფეროში, განპირობებულია მართლაც და უნიკალურ თვისებათა მთელი კასკადით. ამ თვისებათაგან კაცობრიობისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად უკიდურესად მცირე შემცველობისა ატმოსფეროს შემადგენლობაში, ოზონი მთლიანად შთანთქავს დედამიწის ზედაპირზე ყოველივე ცოცხალისათვის მომაკვდინებელ მზის ხისტ ულტრაიისფერ გამოსხივებას. მიაქციეთ ყურადღება: ის, რაც არ შეუძლია მთელი ატმოსფეროს რამდენიმე ასეულ კილომეტრიან ფენას, ხელეწიფება ოზონის სულ რაღაც 2-3 მილიმეტრიან ფენას — სწორედ ასეთი სისქის ოზონის საფარველი იქნებოდა დედამიწას, რომ შეიძლებოდეს მისი გამოცალკევება ატმოსფეროს შემადგენლობიდან.

ატმოსფერული ოზონის ფენის სისქის ცვლილებით შეიძლება აიხსნას კერძოდ ის, თუ რატომაა, რომ თითქოს ერთნაირი ამინდის პირობებში ერთ დღეს შეიძლება საშიში დამწვრობა მივიღოთ მზის გულზე, ხოლო მეორე დღეს მხოლოდ ოდნავ „შევიბრაწოთ“. ამჟამად სწორედ ამ ერთი ციცქნა ფენის კიდევ უფრო შემცირებისა და სულაც გაქრობის საშიშროების წინაშე დგას კაცობრიობა. საყოველთაოდ ცნობილი „ოზონის ხვრელიც“, რომელიც ანტარქტიდის თავზე და შპიცბერგენის რაიონში რამდენიმე ასეულათას კვადრატულ კილომეტრს მოიცავს, სხვა არაფერია, თუ არა — ოზონის საფარველის საშიშ დონემდე შემცირების ტენდენცია. ყოველივე ამის მიზეზი კი გარემოს დაბინძურებაა. კონკრეტულად ოზონის ფენისათვის ყველაზე დამღუპველად ითვლებიან ქლორ და ფტორშემცველი ნახშირწყლები. მართალია, სხვადასხვა დონის საერთაშორისო შეთანხმებებით თითქოსდა შეიზღუდა ასეთ ნივთიერებათა წარმოება მსოფლიოში, მაგრამ როგორც გამოკვლევები უჩვენებენ, სტრატოსფეროში ოზონის დაშლის ტემპები მატულობს. საშიშროება რომ მეტად სერიოზულია, ჩანს თუნდაც ასეთი მონაცემებით: ოზონის 1 პროცენტით შემცირება იწვევს მზის ულტრაიისფერი რადიაციის 2 პროცენტით გადიდებას, რასაც მოსახლეობის მხოლოდ კანის კიბოთი დაავადების 4 პროცენტით გაზრდა მოჰყვება, სხვა არანაკლებ ნეგატიურ ეფექტებზე რომ არაფერი ვთქვათ.

ატმოსფერული, უფრო ზუსტად სტრატოსფერული ოზონისაგან განასხვავებენ ე. წ. მიწისპირა ოზონს, რომლის წყაროა როგორც სტრატოსფერული ოზონი, გადმოტანილი ქვედა ფენებში ცირკულაციური პროცესებით, ასევე ელექტრული მოვლენები და ფოტოქიმიური რეაქციები. ეკოლოგიურად სუფთა ადგილებში წყნარ ამინდში მიწისპირა ოზონს ახასიათებს ე. წ. დღეღამური „სვლა“: ნაშუადღევს, 14-15 საათზე და შუაღამისას ოზონის კონცენტრაციები აღწევენ მაქსიმუმს, ხოლო დილა-საღამოს მინიმუმს, მისი საშუალო მნიშვნელობა კი ტოლია 30-40 მკგ/მ^3.

ოზონის მიკროკონცენტრაციების მუდმივად არსებობა ჰაერში აუცილებელია როგორც მცენარეებისა და ცხოველებისათვის, ასევე ადამიანებისათვის. ოზონის დეფიციტის შემთხვევაში, იწყება სხვადასხვა ინფექციურ დაავადებათა სწრაფი ზრდა. ასევე მავნებელია ოზონის მაღალი კონცენტრაციები, თუმცა ასეთი რამ ბუნების წიაღში მეტნაკლებად ხანგრძლივი დროით პრაქტიკულად არ გვხვდება. ოზონის რაოდენობის საშიში მატება შეინიშნება მხოლოდ ე. წ. „სმოგის“ (მკვრივი ბოლის) პირობებში, როცა ჰაერი ძლიერაა დაბინძურებული გოგირდის, აზოტის და ნახშირბადის ჟანგეულებით.

საზოგადოდ, ოზონის ტოქსიკური თვისებები ცუდადაა შესწავლილი და დღესდღეობით მეტად გაზვიადებულად წარმოგვიდგენენ. საქმე ისაა, რომ როგორც ბუნებრივ პირობებში ოზონის წარმოქმნისას, ასევე ხელოვნურად მისი გენერირების დროს ოზონთან ერთად უხვად მიიღება ისეთი ძლიერი მომწამლელი ნივთიერებანი, როგორიცაა აზოტის ჟანგეულები. მათი გამოცალკევება ოზონისაგან პრაქტიკულად ვერ ხერხდება, ვინაიდან ნებისმიერ ფილტრზე უპირველეს ყოვლისა შთაინთქმება თვითონ ოზონი. ამიტომაც ყველა ექსპერიმენტის დროს, რომელიც ოზონის ტოქსიკურობის დადგენისას ტარდებოდა, ფაქტიურად რამდენიმე ნივთიერების ერთობლივი ზემოქმედების შესწავლა ხდებოდა.

ამ სტრიქონების ავტორი, უკვე 20 წელიწადზე მეტია, მუშაობს ოზონის მიღების, კონცენტრაციის გაზომვის და გამოყენების პრობლემებზე. ეს სამუშაოები დაიწყო 70-იან წლებში, მაშინდელი ლენინგრადის მეტროლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თბილისის ფილიალში, შესანიშნავი მეცნიერის, დღეს ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის პრორექტორის, პროფესორ კარლო მგალობლიშვილის თაოსნობით. თავდაპირველად ჩვენ ვმუშაობდით ოზონის მცირე და მაკროკონცენტრაციების, ანუ ე. წ. სამრეწველო ოზონის სფეროში, ხოლო შემდგომ სამუშაოთა დიდი მოცულობა შესრულდა ოზონის მიკროკონცენტრაციების, ანუ ატმოსფერული ოზონის სფეროშიც. ამ ხნის განმავლობაში ჩვენს მიერ დამუშავებული, კონსტრუირებული და დამზადებული იყო ოზონის ორი ტიპის გენერატორი სახელწოდებით „საამო“ და „მაგიო“, ოზონის მცირე და მაკროკონცენტრაციების გამზომი ორი ხელსაწყო „სურნელი“ და „სურნელი-2“. ოზონის მცირე და მიკროკონცენტრაციების ორი ტიპის დოზატორი. ამ დანადგარებიდან მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო ოზონის გენერატორებზე.

სამრეწველო მიზნებისათვის ოზონს ჩვეულებრივ ღებულობენ მაღალი ძაბვის (20-30 ათასი ვოლტი) განმუხტვის არეში ჰაერის გატარებით. მაგრამ ამ დროს, როგორც წესი, ოზონთან ერთად გამოიყოფა ზემოთხსენებული ტოქსიკური შენაერთები — აზოტის ჟანგეულები. ჩვენ მიერ კი ოზონის მისაღებად გამოყენებული იყო სერიული წარმოების იაფფასიანი ულტრაიისფერი გამოსხივების ნათურები. მედიცინაში ისინი ცნობილია კვარცის ნათურების სახელწოდებით. პასპორტში მითითებულ რეჟიმში მუშაობისას ისინი გამოყოფენ უმნიშვნელო რაოდენობის ოზონს. მაგრამ ჩვენ მივაგენით ამ ნათურების მუშაობის ისეთ რეჟიმს, რომლის დროსაც შესაძლოა მივიღოთ სამრეწველო ოზონის დიდი რაოდენობა. ამასთან არ გამოიყენება მაღალი ძაბვა, რომელიც მომეტებულ საფრთხესთანაა დაკავშირებული და არ გამოიყოფა აზოტის ჟანგეულები (ვინაიდან ამ ნათურების მიერ გამოსხივებული ქვანტების ენერგია არაა საკმარისი აზოტის მოლეკულის დისოციაციისათვის, ურომლისოდაც აზოტი არ შედის რეაქციაში ჟანგბადთან). ამიტომაც ჩვენი გენერატორებით მიღებული ოზონი არ ხასიათდება ტოქსიკურობით. ამის ცოცხალი მოწმეები ვართ ის რამდენიმე პიროვნება, რომლებიც ოცი წელიწადია ვღებულობთ ოზონის ისეთ დოზებს, ათასჯერ და ათიათასჯერაც რომ აღემატება სამეცნიერო ლიტერატურაში ნაჩვენებ ე. წ. ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციებს.

ახლა რაც შეეხება სამრეწველო ოზონის გამოყენების სფეროს. მისი საშუალებით შესაძლებელია სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაცია მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორებიცაა ქიმიური, ნავთობქიმიური, ცელულოზა-ქაღალდის, ჰიდრომეტალურგიული და სხვ. წარმატებით გამოიყენება ოზონი სამრეწველო ჩამდინარე წყლების გასაწმენდად, სასმელი წყლის ბიოლოგიურად და ბაქტერიციდულად გასაწმენდად, საწარმოო და საყოფაცხოვრებო შენობების დეზინფექციისა და დეზოდორაციისათვის, ატმოსფეროს დამაბინძურებელი სამრეწველო აირების გასაუვნებლად და ა. შ. ოზონი გამოიყენება კვების მრეწველობის ისეთ დარგებში, როგორიცაა რძის, პურ-ფუნთუშეულის, შაქრის, ღვინის, ლუდის და ალკოჰოლო სასმელების წარმოება, კერძოდ, ხილეული წვენების, პეპსი-კოლასა და კოკა-კოლას გემოვნებითი თვისებების გასაუმჯობესებლად დიდ ეფექტს იძლევა სასმელი წყლის წინასწარ ოზონით დამუშავება.

ფრიად ეფექტიანია ასევე ოზონი, როგორც ანტისეპტიკური და მაკონსერვირებელი საშუალება ხილბოსტნეულის საცავებში, მაცივრებში, თევზისა და ხორცის კომბინატებში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ ოზონის სუნის შემჩნევისას ხილსაცავებსა და მაცივრებს პრაქტიკულად ტოვებენ მღრღნელები — თაგვები და ვირთხები, აგრეთვე ჭიანჭველები, ხოჭოები და მწერები. ოზონიან ჰაერში არ ჩნდება ობი და სხვა სოკოვანი დაავადებანი. ამის წყალობით ხილის, ხორცის თუ თევზეულის შენახვა შესაძლებელია გაცილებით მაღალ ტემპერატურაზე და გაცილებით უფრო დიდხანს, ვიდრე ჩვეულებრივ ინახება.

ამ ბოლო წლებში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ თანამედროვე ლაქსაღებავების, სარემონტო და საამშენებლო მასალების, პლასტმასებისა და პოლიმერებისაგან დამზადებული საყოფაცხოვრებო ნივთები და ავეჯი გამოყოფს ისეთ მომწამვლელ ნივთიერებებს, როგორებიცაა ფორმალდეჰიდი, გოგირდწყალბადი, ფენოლი, სტიროლი, ნაფთალინი, აცეტოფენონი, ბენზაპირენი და სხვ. ეს ყოველივე ხდება ჩვენს საცხოვრებელ თუ სამუშაო ოთახებში, ყოველდღიურად და ყოველწუთიერად. ამ ნივთიერებათა რაოდენობა განსაკუთრებით ახლადაშენებულ და ახლადგარემონტებულ სახლებში ათასჯერ და მეტადაც აღემატებიან ნორმას. აქედანაა სხვადასხვა ალერგიები, ქრონიკული დაავადებანი, უძილობა თუ თავისტკივილები, რითაც ასე გამოირჩევა ჩვენი ეპოქა.

მოსკოვის ა. ნ. სისინის სახელობის ზოგადი და კომუნალური ჰიგიენის ინსტიტუტის გამოკვლევების თანახმად, ერთადერთი, რითაც შესაძლებელია საკუთარ სახლებში თუ სამუშაო კაბინეტებში ავიცილოთ მომწამვლელ ნივთიერებათა ზემოქმედება, გახლავთ ოზონიზაცია. მათივე მონაცემებით, 10-15 საათის განმავლობაში ოზონით დამუშავების შემდეგ ჰაერში არსებული პრაქტიკულად ყველა ნივთიერების ორთქლის რაოდენობა ზღვრულ დასაშვებ კონცენტრაციაზე გაცილებით დაბლა ეშვება. ამასთან, ოზონის ზემოქმედებით წარმოიქმნება ისეთი დამცავი ფენა კედლების თუ სხვა საგნების ზედაპირზე, რომელიც ხელს უშლის მათგან ტოქსინების ჰაერში გამოყოფას.

ხედავთ, ბატონებო, რა ყოფილა ოზონი?! ახლა თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ჩვენი პარლამენტი მუშაობს სწორედ ახლადგარემონტებულ და თანამედროვე მასალებით მოპირკეთებულ შენობაში და წარმოვიდგენთ იმ საფრთხეს, რომელიც ხალხის რჩეულთა ჯანმრთელობასა და შრომისუნარიანობას ემუქრება, და რომ ერთადერთი, რაც ამ საფრთხეს აგვარიდებს, ოზონი გახლავთ, დავრწმუნდებით, რომ... ჭეშმარიტება სულაც არ ყოფილა ღვინოში!

საბოლოოდ რომ დავამშვიდო მკითხველი საზოგადოება, ვიტყვი, რომ ჩვენი ოზონატორებით სავსებით შესაძლებელია პარლამენტის შენობის ყველა სამუშაო ოთახისა და სხდომათა დარბაზის სრული ჰერმეტული ოზონიზაცია. ამას გარდა პარლამენტის სხდომების დროს შესაძლებელია სხდომათა დარბაზში ოზონის დღეღამური „სვლის“ იმიტაცია, ანუ ოზონის ისეთი მიკროკონცენტრაციების შექმნა, როგორიც ღია ცის ქვეშაა. რა თქმა უნდა, მკაცრი დოზირებითა და სათანადო გამზომი აპარატურის კონტროლქვეშ.

რაოდენ სასიკეთო იქნებოდა ასეთივე ოზონით გაჯერებული ატმოსფერო შეგვექმნა საავადმყოფოთა პალატებში, განსაკუთრებით ტუბერკულოზის, ონკოლოგიური, ინფექციური და სხვა პროფილის კლინიკებში, საოპერაციოებში, თეატრებში, კინოდარბაზებში, ფილარმონიისა და სპორტის სასახლეში და სხვა მასობრივი თავშეყრის ადგილებში, სადაც ხშირად ხდება ადამიანთა მიერ ურთიერთინფიცირება.

ერთსაც კიდევ გეტყვით ოზონის ამბავს და ამით დავამთავრებ. ყველას მოგეხსენებათ, რა კარგი რამ არის კალმახი, ისიც გაგეგონებათ, ალბათ, თუ როგორ უყვარს კალმახს მთის სწრაფი და ჩანჩქერიანი მდინარეები. და იცით, რატომ უყვარს? იმიტომ, რომ ცივსა და მოჩუხჩუხე ნაკადულებში კარგად იხსნება ჟანგბადითა და ოზონით მდიდარი მთის ჰაერი. ჰოდა ოზონიან ჰაერს მიჩვეული კალმახი ძალიან ძნელად მოსაშენებელია და გასამრავლებელი ბარის წყალსატევებში. ხოლო თუ ამ წყალსატევებში პერიოდულად ჩავატარებთ ოზონიზაციას, მრავალი პრობლემა მოიხსნება. იგივე ეხება დახურული ტიპის მეფრინველეობის კომბინატებს, ინკუბატორებს, ცხვრის, ღორის, საქონლის გამოსაზამთრებელ სადგომებს და ა. შ. და ა. შ.

დასასრულ მინდა მკითხველებს დავუსვა რიტორიკული შეკითხვა: დარწმუნდით, ბატონებო, რომ მართლაც ოზონში ყოფილა ჭეშმარიტება? ჰოდა თუ ასეა, ისუნთქეთ, ისუნთქეთ ღრმად ოზონიანი ჰაერი და თქვენ აუცილებლად მხნე და ჯანმრთელი გადააბიჯებთ მესამე ათასწლეულში. მეოცე საუკუნე კი, რომელიც დავიწყეთ საყოველთაო კოლექტივიზაციით და ინდუსტრიალიზაციით, უნდა დავასრულოთ საყოველთაო პრივატიზაციით და ოზონიზაციით.

ჭეშმარიტად, ოზონშია ჭეშმარიტება!

თეიმურაზ რუხაძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

მხარდაჭერა და თანადგომა

7 თებერვალს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია შეხვდა თავისუფალი პრესის წარმომადგენლებს. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე მასმედიასთან ურთიერთობის საკითხებში ეთერ მაისაშვილი.

ზურაბ ჟვანიამ განაცხადა: „სახელმწიფომ, რომელსაც სურს დემოკრატიული საზოგადოების აშენება, მხარი უნდა დაუჭიროს თავისუფალ პრესას“.

პარლამენტის თავმჯდომარემ დამსწრეთ მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიიღონ პრესის შესახებ კანონის ახალი რედაქციის შემუშავებაში და დახმარება აღუთქვა საგადასახადო სისტემასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრაში.

პარლამენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

მეგობრობაც და საქმეც

სომხეთის რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაცია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან, ევროკავშირთან, საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის მინისტრის გაგიკ შაჰბაზიანის ხელმძღვანელობით ორი დღის განმავლობაში მუშაობდა თბილისში.

7 თებერვალს, დელეგაციამ სამუშაო შეხვედრების შედეგები წარუდგინა საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ნიკო ლეკიშვილს.

ორ ქვეყანას შორის დამოკიდებულებას ძირითადად საქმიანი ურთიერთობა წყვეტს, — აღნიშნა შეხვედრაზე ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა. პრინციპული შეთანხმება, პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრაში მიღწეულია — ეს არის ენერგეტიკა, ტრანსპორტი, საკომუნიკაციო სისტემა, საბაჟო კავშირები, სამგზავრო მატარებლების მიმოსვლის აღდგენა. დადგენილია ვადები, სამუშაო ოქმი ხელმოწერილია.

პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1996 წლის 30 იანვარი, ქ. თბილისი

ვახუშტი ბაგრატიონის დაბადების 300 წლისთავის აღნიშვნის შესახებ

მიღებულ იქნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინადადება გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის, გეოგრაფისა და კარტოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის დაბადების 300 წლისთავის იუბილეს მოწყობის შესახებ.

1. ვახუშტი ბაგრატიონის იუბილე გაიმართოს 1997 წლის ოქტომბერში.
2. დამტკიცდეს ვახუშტი ბაგრატიონის დაბადების 300 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის შემადგენლობა.
3. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ (ა. თავხელიძე) და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (რ. მეტრეველი) ერთი თვის ვადაში საიუბილეო კომიტეტს წარმოუდგინონ საიუბილეო ღონისძიებათა პროგრამა.
4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ი. მენაღარიშვილი) ვახუშტი ბაგრატიონის იუბილესთან დაკავშირებით მოამზადოს სათანადო წინადადებები იუნესკოში წარსადგენად.
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (დ. იაკობიძე) საიუბილეო ღონისძიებებისათვის, მათ შორის იუბილესთან დაკავშირებული გამოცემების ხარჯების დასაფარავად, საიუბილეო კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად გამოყოს აუცილებელი სახსრები.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1996 წლის 30 იანვარი, ქ. თბილისი

ივანე ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავის აღნიშვნის შესახებ

1. **მიღებულ** იქნეს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინადადება, რომ 1996 წლის თებერვალ-ოქტომბერში გაიმართოს დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუძემდებლის ივანე ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავის იუბილე.
2. ივანე ჯავახიშვილის იუბილესადმი მიძღვნილი დასკვნითი საღამო მოეწყოს 1996 წლის 15 ოქტომბერს, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში.
3. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ 1996 წელი სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის გამოცხადებულია ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო წლად.
4. დამტკიცდეს ივანე ჯავახიშვილის დაბადების 120 წლისთავის საიუბილეო კომიტეტის შემადგენლობა.
5. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (რ. მეტრეველი) ორი კვირის ვადაში წარმოუდგინოს კომიტეტს საიუბილეო ღონისძიებათა პროგრამა.
6. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ი. მენაღარიშვილი) ივანე ჯავახიშვილის იუბილესთან დაკავშირებით მოამზადოს სათანადო წინადადებები იუნესკოში წარსადგენად.
7. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (დ. იაკობიძე) გამოუყოს საჭირო სახსრები სახელმწიფო უნივერსიტეტს საიუბილეო ღონისძიებების, მათ შორის ივანე ჯავახიშვილის ტომეულთა გამოცემის ხარჯების დასაფარავად წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1996 წლის 2 თებერვალი, ქ. თბილისი

საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებთან და დონორ-ქვეყნებთან თანამშრომლობის საკოორდინაციო სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ

საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან (საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკის ჯგუფი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და სხვ.) და დონორ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობისა და ურთიერთობის კოორდინაციის მიზნით:

1. შეიქმნას საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკურ ორგანიზაციებთან და დონორ ქვეყნებთან თანამშრომლობის სახელმწიფო სამთავრობო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

თეიმურაზ ბასილია — კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწე ეკონომიკური რეფორმების საკითხებში;

პეტრე მამრაძე — სახელმწიფო კანცელარიის ეკონომიკური სამსახურის უფროსი;

ზვიად გონაძე — კომისიის მდივანი, სახელმწიფო კანცელარიის ეკონომიკური სამსახურის საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებთან ურთიერთობის სააგენტოს უფროსი;

კონსტანტინე ზალდასტანიშვილი — საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მინისტრი, ევროპის კავშირის ტექნიკური დახმარების პროგრამა „ტასისის" ეროვნული კოორდინატორი;

დავით იაკობიძე — საქართველოს ფინანსთა მინისტრი;

ვლადიმერ პაპავა — საქართველოს ეკონომიკის მინისტრი;

ნოდარ ჯავახიშვილი — საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.

2. კომისიამ სისტემატურად წარმომიდგინოს ინფორმაცია გაწეული მუშაობის შესახებ.
3. კომისიამ ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს თავისი საქმიანობის წესი.
4. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის 1994 წლის 7 აპრილის № 243 განკარგულება.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1996 წლის 31 იანვარი ქ. თბილისი

1996 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებისა და მასში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 10 აპრილის № 186 დადგენილებით შექმნილი სამთავრობო კომისიის შემადგენლობის განახლებისა და მისი საქმიანობის შემდგომი გააქტიურების ღონისძიებათა შესახებ

1. **განახლდეს** 1996 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებისა და მასში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი სახელმწიფო კომისიის საქმიანობა და დამტკიცდეს იგი განახლებული შემადგენლობით.
2. კომისიამ სისტემატურად განიხილოს ოლიმპიური თამაშებისათვის მზადებასა და მასში მონაწილეობასთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხები და მიიღოს ოპერატიული გადაწყვეტილებანი; საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს კონკრეტული წინადადებები საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს.
3. 1996 წლის 5 თებერვლამდე შეიმუშაოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ფინანსური უზრუნველყოფის დამატებითი ღონისძიებანი.
4. განკარგულების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს სახელმწიფო მინისტრს ნ. ლეკიშვილს.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1996 წლის 6 თებერვალი, ქ. თბილისი

ი. ბაჩიაშვილის საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს იოსებ ბაჩიაშვილი საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლად საქართველოს სასამართლო წყობილების შესახებ კანონის მიღებამდე.

ე. შევარდნაძე.

იოსებ მიხეილის ძე ბაჩიაშვილი დაიბადა 1955 წელს. 1978 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ხოლო 1981 წელს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურა. 1982-87 წლებში ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას. 1987-90 წლებში მუშაობდა პარტიულ ორგანოებში. 1990-94 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მინისტრის მოადგილე. 1994-95 წლებში იყო საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. იგი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი და საერთაშორისო პოლიტიკურ მეცნიერებათა ასოციაციის წევრია. არის სამეცნიერო მონოგრაფიებისა და შრომების ავტორი.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება

1996 წლის 31 იანვარი ქ. თბილისი

სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის შექმნის შესახებ

1. **შეიქმნას** სახელმწიფო კანცელარიასთან სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრი.
2. დამტკიცდეს სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის დებულება.

ე. შევარდნაძე.

დანიშვნა | გათავისუფლება

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით გურამ დოლბაია დაინიშნა საქართველოს ტრანსპორტის საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით **ზურაბ ქრისტესიაშვილი** დაინიშნა გორის რაიონის ერედვის თემის გამგეობის თავმჯდომარედ.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ბრძანებით **ზურაბ ჯიბლაძე** დაინიშნა სახელმწიფო კანცელარიასთან არსებული სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრის დირექტორად.

• • •

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ჯონი ჯალაღანია გათავისუფლდა საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გურამ ბერუაშვილი გათავისუფლდა გორის რაიონის ერედვის თემის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

რუსეთის პრესის სარკეში

კომპარტია საკუთარი რიგების წმენდის „გამოცდილებას" უბრუნდება

გაერო გაკოტრების პირას არის

ვინ დაგვეხმარება — კაპიტალისტები თუ ღმერთი?

გაზეთ „სეგოდნია", რომელიც თავის მკითხველებს ამცნობს ევროპის საბჭოში მიღების ფაქტს, მოჰყავს ამ ორგანიზაციის ექსპერტთა აზრი იმის თაობაზე, რომ **„რუსეთი არ არის სამართლებრივი სახელმწიფო"** და ამიტომ ეს აქტი ავანსად უნდა იქნეს მიჩნეული. ევროპის საბჭო მზად არის მკაცრი კონტროლი გაუწიოს რუსეთის სიტუაციას და ორმხრივ ვალდებულებათა შესრულებას. ამბობენ, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენა მოახდინა ჟირინოვსკის განცხადებამ, თუ რუსეთს ევროპის კავშირში არ მიიღებენ, მაშინ გამარჯვება პრეზიდენტის არჩევნებში მე დამრჩებაო.

„მოსკოვსკაია პრავდა" ამავე თემაზე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ **„ევროპული დემოკრატიის აღიარებული კლუბი გვაკისრებს ვალდებულებას ვიცხოვროთ ცივილიზებული საზოგადოების ნორმების შესაბამისად, და მაინც, „უმჯობესია მოსკოვი ევროპასთან ერთად იყოს, და არა მის წინააღმდეგ"**.

რუსეთის კომუნისტთა რიგებში და, უწინარეს ყოვლისა, მის უმაღლეს ეშელონში მომხდარ განხეთქილებას იუწყება გაზეთი **„იზვესტია"**. ანპილოვმა, უმალატოვამ, ბაბურინმა და სხვებმა გენადი ზიუგანოვს დასცხეს — ბრალად სდებენ წინასაარჩევნო ლოზუნგებისაგან განდგომას, პროსამთავრობო თამაშს და ჩერნომირდინის ბლოკთან პირშეკვრას. გაზეთი ასკვნის, რომ თანამედროვე რუსული კომუნისტური მოძრაობის კალაპოტში არსებული მიმდინარეობების — „მედგარი ლენინელების", „პრაგმატიკოსებისა" და „პატრიოტების" კონფრონტაციის აღმოფხვრას ცდილობენ „ჯგუფობრიობასთან" და „ფრაქციულობასთან" ბრძოლის ნაცადი საშუალებებით. ერთი სიტყვით მეორდება საკუთარი რიგების წმენდის ძველი ბოლშევიკური მეთოდები.

„სეგოდნია" აქვეყნებს კორესპონდენციას კლაუს კინკელის საქართველოში ვიზიტის შესახებ კომენტარით, რომლის თანახმადაც **„გერმანია დაინტერესებულია საქართველოსთან თანამშრომლობით, მაგრამ მას აცბუნებს რესპუბლიკაში საკანონმდებლო ბაზის არასრულქმნილობა"**. მინისტრი რეკომენდაციას იძლევა შეიქმნას ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის რეგიონული კოოპერაცია პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის საკუთარი მოდელით, ვინაიდან **„სახელმწიფოები, რომლებიც ეკონომიკის სფეროში თანამშრომლობენ, ერთმანეთს არ ეომებიან"**.

ამავე გაზეთში გაიელვა მოკლე ცნობამ იმის შესახებ, ვითომდა „აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლეონიდ ლაკერბაიამ თქვა, რომ **აფხაზეთის მხარეს ხელს აძლევს წინადადება საქართველოს საზღვრების ფარგლებში ერთიანი სახელმწიფოს შექმნის შესახებ**". მაგრამ, აფხაზეთი ამას დათანხმდება მხოლოდ „კონსტიტუციის და სახელმწიფო ატრიბუტიკის შენარჩუნების პირობით". ალბათ, ამ შემთხვევაში ან ინფორმაცია ვერ არის მთლად ზუსტი, ან არა და, მინისტრი არ იზიარებს თავისი შეფის აზრს, რადგან არძინბა ჯერ კიდევ მოითხოვს სამოკავშირეო სახელმწიფოს სტატუსს.



„პრავდა"-5" სიტყვას აძლევს სახელმწიფოს სათათბიროს ახალ თავმჯდომარეს გენადი სელეზნიოვს, რომელიც ცდილობს დაამშვიდოს ხალხი: **„სულ ტყუილად აშინებენ ჩვენი მოწინააღმდეგენი მსოფლიოს იმ ჭორებით, თითქოსდა პარლამენტში კომუნისტთა მოსვლის შემდეგ „წითელი ტერორი" დაიწყებოდა. სანამ მთავრობა არ შეცვლის რეფორმების კურსს, კომუნისტები არც შევლენ მთავრობაში"**. ისღა დაგვრჩენია დავსძინოთ, რომ კომუნისტები ყოველნაირად ცდილობენ როგორმე შეაცვლევინონ მთავრობას კურსი და თუ რუსეთის პრესის მიმომხილველებს დავუჯერებთ, მთავრობა უკვე შეუდგა ამ ცვლილებებს.

ხოლო პრავდელი გ. სტატსკი თბილისიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში არც კი მალავს ბოროტ სიხარულს საქართველოს ენერგეტიკული კრიზისის გამო. ამასთანავე „შეგვახსენებს", რომ 1997 წლამდე უნდა გავისტუმროთ ელექტროენერგიის ვალი თურქეთს. ჩვენც, ჩვენი მხრივ, მადლობის მეტი რა გვეთქმის ბატონი (ამხანაგი?) სტატსკისათვის, რომელიც, ბოლშევიკურ კალამს მიჩვეული, ასე „ზრუნავს" გათოშილ საქართველოზე.

თავის „სამხედრო მიმოხილვაში" **„ნეზავისიმაია გაზეტა"** წერს, რომ **„სამხედრო დეპუტატები სახელმწიფოს არასტაბილურობის ნიშანია"**. მიმომხილველი უარყოფითად უპასუხებს კითხვას — სჭირდება თუ არა რუსეთს სამხედროებისაგან პოლიტიკოსები — და აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში სამხედროების მონაწილეობა — ეს არის არა დემოკრატიის, არამედ ანარქიის ნიშანი. კადრის ოფიცერს არა აქვს უფლება განსაჯოს თავისი მეთაურის და მისი ზემდგომი მთავრობის საქციელი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფინანსურ კრიზისს იუწყება **„როსიისკაია გაზეტა"**. სადაც არის, ვადა გაუვა გაეროს წევრი სახელმწიფოების საწევროს შეტანას 1996 წლის ბიუჯეტში. აქ მხოლოდ გერმანია გამოდგა დისციპლინირებული. გაერო მიმართავს ღონისძიებებს ჯარიმების დაკისრების თუ მოვალე ქვეყნებში საქონლის შესყიდვის შეწყვეტის ფორმით. ბუტროს ღალიმ ამასთან დაკავშირებით შენიშნა: „ვისაც გაერო არაეფექტიანად მიაჩნია, სწორედ ის ასუსტებს ორგანიზაციის ეფექტიანობას საწევროს გადაუხდელობით".

„მოსკოვსკაია პრავდას" მოჰყავს ციტატები მოსკოვის მერის ლუჟკოვის შრომებიდან, სადაც შევხვდებით ჩვენი აქაური სინამდვილისათვის ნიშანდობლივ გამონათქვამსაც: „ჩვენ უნდა შევუქმნათ თავისუფალ მეწარმეობას ისეთი საგადასახადო-სამართლებრივი გარემო, რომელიც დათრგუნავს პარაზიტული კაპიტალის გავლენას და სტიმულს მიანიჭებს საწარმოო კაპიტალის განვითარებას".

მაგრამ ეს ხანგრძლივი პროცესია, თუ გავითვალისწინებთ, რომ როგორც წესი და რიგია, იგი ჯერ არც დაწყებულა. ამასობაში კი „პარაზიტული კაპიტალი" სულ უფრო ზრდის სოციალურ სხვაობას. და ელემენტარულ სახსრებს მოკლებული მოსახლეობის ფენები მფარველობას დაეძებენ არა მარტო დედამიწაზე, არამედ ზეცაშიც. როგორც **„იზვესტია"** იუწყება, მარიელის რესპუბლიკის მუშებმა ადგილობრივ გაზეთს გაუგზავნეს ღია წერილი მამაზეციერისადმი, რომელსაც დახმარებას და მფარველობას შესთხოვენ. წერილის ავტორები გაზეთის მეშვეობით „უზენაესი ინსტანციისადმი მიმართვის გადაწყვეტილებას იმით ხსნიან, რომ ეკლესიაში ვერ მისულან გზის ფულის უქონლობის გამო. ჰოდა გამოდის, რომ შორია არა მარტო მოსკოვამდე, არამედ ეკლესიამდეც. მაგრამ გაჭირვებულთ იმედი აქვთ, რომ თუმცა ღმერთი ზეცაშია, მაინც გადმოხედავს და შეისმენს მათს ხმას. შეისმენით კი შეისმენს, მაგრამ ვინ იცის, კითხულობენ მამაზეციერის „კანცელარიაში" პროვინციულ გაზეთებს?

იური მოსეშვილი.

განიხილავენ კანონპროექტს

7 თებერვალს პარლამენტის კანონდარბაზში საპარლამენტო ფრაქცია „მეურნეების" წევრებმა განიხილეს კანონპროექტი „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ". განხილვაზე მოწვეული იყვნენ აგრეთვე სოფლის მეურნეობის წამყვანი სპეციალისტები, სამინისტროთა და შესაბამის უწყებათა წარმომადგენლები.

როგორც ცნობილია, დღეს საქართველოში 670 ათასი ჰექტარი მიწის სავარგულია, რომლის განაწილების სამართლებრივი საფუძველი თითქმის არ არსებობს. სახელმწიფოს მეთაურის ბრძანების შესაბამისად შექმნილი სამთავრობო კომისიის მიერ დამუშავებული კანონპროექტი განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებისა და საადგილმამულო მეურნეობების შეძენისა და გასხვისების წესს, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების დაგირავების წესსა და პირობებს, სახელმწიფოს მონაწილეობას აღნიშნული მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებული ურთიერთობის მოწესრიგებაში.

განხილვაზე გამოითქვა მრავალი ყურადსაღები შენიშვნა და წინადადება.

სარედაქციო ფოსტიდან

შველას ვითხოვთ!

საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ბატონო ედუარდ! მიწის პრივატიზაციის დროს მცხეთის რაიონის სოფელ წილკნის 500-კომლიანმა მოსახლეობამ უარი ვთქვით ჩვენთვის საკარმიდამო ნაკვეთების სრულად შევსებაზე, რათა შეგვენარჩუნებინა ექსპერიმენტული მეურნეობა და მოსახლეობაც დასაქმებული გვყოლოდა. ამავე დროს ჩვენს პოზიციებს ამაგრებდა თქვენი 1992 წლის 22 სექტემბრის № 948 დადგენილება, რომლის ძალითაც აიკრძალა ექსპერიმენტული მეურნეობის დაშლა-გაუქმება. მაგრამ მცხეთის რაიონის გამგებელმა, მხედრიონელმა, დღეს პატიმარმა ზურა მიქელაშვილმა, გაურკვეველი განათლებისა და სპეციალობის 28 წლის მხედრიონელ კახა წიწინაშვილთან ერთად, იარაღის ძალით, ყალბ საბუთებზე დაყრდნობით — თითქოს სოფლის საერთო კრების გადაწყვეტილებით — გააუქმა ჩვენი მეურნეობა და შექმნა ი. წ. აგროფირმა „წილკანი". წაგვართვეს დამუშავებული და დათესილი სავარგულები, ხეხილის ბაღები. პირუტყვი, ტექნიკა, სამეურნეო ნაგებობანი, მიწის გარდა ყველაფერი გაყიდეს და გაანიავეს.

თავდამსხმელთა [illegible] კოლექტიური წერილით, რომელსაც ხელს აწერდა 500-მდე მშრომელი, მივმართეთ მაშინდელ სოფლის მეურნეობის მინისტრს ბატონ ოთარ [illegible], რომელმაც აღგვიდგინა ექსპერიმენტული მეურნეობა. მაგრამ კ. წიწინაშვილმა არ შეასრულა მინისტრის გადაწყვეტილება, რადგან მას მხარს უმაგრებდა მცხეთის რაიონის გამგეობა. ამის შემდეგ კოლექტიური წერილით მოგმართეთ თქვენ და პარლამენტს. რის საფუძველზეც შესაბამისი უწყებების სპეციალისტებისგან შეიქმნა ერთობლივი კომისია, რომელმაც ადგილზე დეტალურად შეისწავლა საკითხი და გამოიტანა გადაწყვეტილება აგროფირმა „წილკნის" გაუქმებისა და მეურნეობის აღდგენის შესახებ, რომელიც გადაეგზავნა მინისტრთა კაბინეტს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მცხეთის რაიონის გამგეობას. მაგრამ მიღებული გადაწყვეტილება არ შესრულებულა. ასე დამთავრდა 1995 წელი.

1996 წლის 7 იანვარს კვლავ მოგმართეთ თქვენ კოლექტიური წერილით, რომელიც ბატონ თემურ ფიფიას გადაეგზავნა. მაგრამ შედეგი არ ჩანს. ასევე უშედეგოა ბ. გულუას სახელზე გაგზავნილი ჩვენი საჩივარი, რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ?

ბატონო ედუარდ, ჩვენ მოვითხოვთ მეურნეობის აღდგენას, რომელიც საკარმიდამო ნაკვეთებისგან შეიქმნა, რადგან თავის დროზე, ყოველმა კომლმა დავიკელით 0,25 ჰექტარი ფართობი, რამაც 250 ჰექტარი შეადგინა. ნუთუ ეს ფაქტი, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, არ არის საკმარისი, რათა სამართლიანობა აღდგეს?

ოთხი წელიწადია ვებრძვით უსამართლობას. ჩვენს მხარეზეა ყველა შესაბამისი ზემდგომი ორგანო. მაგრამ მცხეთის ადგილობრივ ხელისუფლებასთან ვერაფერს გავხდით. ახლა მათ მხარეზეა რწმუნებული შალვა ობგაიძე, რომელსაც კ. წიწინაშვილთან ერთად გადაუწყვეტია ი. წ. აგროფირმა „წილკანს" შეუდგინოს ბიზნეს-გეგმა და დაარწმუნოს პრეზიდენტი, რომ ი. წ. „ფირმის" შენარჩუნება აუცილებელია.

ბატონო ედუარდ, მოვითხოვთ დაგვიბრუნონ მეურნეობა, ტექნიკა და პირუტყვი (რაც გაყიდვას გადაურჩა), სამეურნეო ნაგებობანი და ყოველივე ის, რაც ადრე გვქონდა, ამასთან კონტროლის პალატამ შეისწავლოს ჩვენი საკითხი და პასუხისგებაში მიეცნენ ისინი, ვინც ამ დღეში ჩაგვყარა.

სოფელ წილკნის მოსახლეობის სახელით:

გ. ანდრიაშვილი, ნ. ახალზელაშვილი, ვ. ცოციაშვილი, ბ. ტაველური, გ. აბსაბაძე, ვ. ჯავთარაძე, ე. მუმლაური, ნ. ოქრუაშვილი, თ. მისისიელი.

საუბრები კონსტიტუციაზე

სამართლებრივი რეფორმის პერსპექტივა

საქართველოს ახალი კონსტიტუციის აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თენგიზ ლილუაშვილი.

— ბატონო თენგიზ, საქართველოს ახალი კონსტიტუციის მიხედვით როგორია სამართლებრივი რეფორმის პერსპექტივები და მოსალოდნელია თუ არა ამ მხრივ რაიმე რადიკალური ცვლილებები?

კონსტიტუცია ამკვიდრებს ორ ფუნდამენტურ ვალდებულებას: უნდა გადაისინჯოს დღეს მოქმედი თითქმის ყველა საკანონმდებლო აქტი, შეიქმნას ახალი კანონები ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და შემუშავდეს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ, უწინარეს ყოვლისა, თვითონ კონსტიტუციის და მის ბაზაზე შემუშავებული ყველა საკანონმდებლო აქტის განუხრელად შესრულებას.

კონსტიტუციიდან გამომდინარე, ამ ორი ურთიერთგანუყრელად დაკავშირებული ვალდებულების ადრესატი არის საკანონმდებლო ხელისუფლება. სწორედ მან უნდა უზრუნველყოს როგორც ქვეყნისათვის საჭირო კანონების შემუშავება და მიღება, ისე ამ კანონების განუხრელად გატარება. მაგრამ, ნებისმიერი ქვეყნის ვერც ერთი ხელისუფლება ვერ შეასრულებს ჯეროვნად ამ მოვალეობას სპეციალისტების დახმარების გარეშე. აქედან კი გამომდინარეობს კიდევ ერთი, ჩვენი პირობების გათვალისწინებით, ურთულესი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი ამოცანა ხელისუფლებისა — შეიმუშაოს სპეციალისტებთან თანამშრომლობის ოპტიმალური ფორმები, სწორი ორგანიზაცია გაუკეთოს სპეციალისტების მოზიდვას და მათ კანონშემოქმედებით საქმიანობაში ჩართვას.

მხედველობაშია მისაღები, რომ ძალიან ფართოა იმ საკანონმდებლო აქტების წრე, რომლებიც ახლო მომავალში უნდა შემუშავდეს და დაიხვეწოს, ასეთებია, მაგალითად, კანონები საქართველოს ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ, ინტელექტუალური საკუთრების შესახებ, კანონმდებლობა სავაჭრო, სისხლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული და შრომის სამართლის, სასჯელის აღსრულების შესახებ, კანონმდებლობა მიწის, წიაღისეულის და ბუნებრივი რესურსების, აგრეთვე მომხმარებელთა უფლებების დაცვის, უფასო სამედიცინო დახმარების შესახებ და ა. შ. ჩამონათვალი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. უნდა აღინიშნოს მხოლოდ ის, რომ კონსტიტუციის მითითებათა შესაბამისად კანონები შესამუშავებელია ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და, საერთოდ, ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში. თავისთავად ცხადია, რომ ამ კანონების შემუშავებისა და მიღების გარეშე კონსტიტუციის სრულყოფილად ამოქმედებაზე ლაპარაკი საერთოდ ზედმეტია.

საკითხი ასე დგას, თუ ჩვენ გვინდა მოწესრიგებული საზოგადოების ჩამოყალიბება, თუ ჩვენ გვინდა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირება — შესაფერისი კანონმდებლობის შემუშავება და მიღება გარდაუვალი აუცილებლობაა.

ამიტომ, ისმის სრულიად კანონზომიერი და ამავე დროს წმინდა პრაქტიკული საკითხი: კანონპროექტებზე მუშაობის როგორი ორგანიზაციაა საჭირო იმისათვის, რომ მოვიზიდოთ შესაბამისი სპეციალისტები და წარმატებით გადავჭრათ კონსტიტუციით დასახული, მართლაც გრანდიოზული ამოცანები სამართალშემოქმედებით სფეროში.

იმისათვის, რომ ხელისუფლებას შევთავაზოთ ამ საკითხის გადაწყვეტის ოპტიმალური ვარიანტი, უნდა გავითვალისწინოთ გამოცდილება, რომელიც დაგვიგროვდა ამ მიმართულებით.

— რას გვეუბნება ეს გამოცდილება?

შექმნილია და, ალბათ, მომავალშიაც შეიქმნება სხვადასხვა დონისა და სხვადასხვა სტრუქტურებში შემავალი კომისიები, მაგრამ ეს კომისიები ვერ მუშაობს ისე, როგორც ეს საჭიროა და როგორც ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ინტერესები.

— მიზეზი?

მიზეზი მრავალია, რომელთა შორის დავასახელებ მხოლოდ ერთს:

კანონპროექტების შემმუშავებელი კომისიის ხელმძღვანელები და წევრები მოღვაწეობენ სხვადასხვა სფეროში. მათ უკავიათ მაღალი თანამდებობები აღმასრულებელ ხელისუფლებაში, სამართალდამცავ ორგანოებში, ზოგიერთი მათგანი კი ზედმეტად გადატვირთულია სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობით, ცხადია, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება და გამოყენება უდავოდ აუცილებელია სრულყოფილი კანონპროექტების შემუშავებისათვის, მაგრამ მათ არ რჩებათ საკმაო დრო კანონპროექტებზე მუშაობისათვის. მართლაც, შეუძლებელია ხელისუფლების ორგანოებში დაძაბული მუშაობა შეუთავსო კანონპროექტებზე შემოქმედებით მუშაობას, რომელიც მოითხოვს მთელი ყურადღების მხოლოდ ამ მიმართულებით გადატანას, სერიოზულ და უაღრესად რთულ მოსამზადებელ საქმიანობას. თუ ჩემს პირად დაკვირვებას დავიმოწმებ, შემიძლია გადაუჭარბებლად ვთქვა: ამ ხალხის ყოფნა კომისიაში წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებს. ფორმალურობისათვის ნამდვილად აღარ გვრჩება დრო. რაც შეეხება პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებას, ეს შეიძლება მოხდეს სხვა ეტაპზე, როცა კანონპროექტის პირველი ვარიანტი მომზადებულია და იგი შეიძლება გადაეცეს განსახილველად. შესაბამისი დარგის პრაქტიკულ მუშაკებს. დარწმუნებული ვარ, სანამ კანონპროექტებზე მუშაობა შესაბამისი სპეციალისტების საქმიანობის ძირითადი და უმთავრესი საგანი არ გახდება, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზის დროულად შევსება ვერ მოხერხდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლებასთან უნდა შეიქმნას არც ისე მრავალრიცხოვანი კვლევითი ცენტრი ან ინსტიტუტი, რომელიც დაკომპლექტდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით ძირითადად იურისპრუდენციისა და ეკონომიკის დარგებიდან და რომლებიც შეძლებენ განაზოგადონ საქართველოში მიმდინარე პროცესები, გააანალიზონ მოწინავე გამოცდილება, შეიმუშაონ ჩვენი ქვეყნის პირობებისათვის მორგებული კანონპროექტები და ბრმად არ გადმოიღონ სხვა ქვეყნის ნიმუშები, რომლებიც ჩვენთვის შეიძლება სრულიად გამოუსადეგარი იყოს.

— ბატონო თენგიზ, კანონპროექტების შემუშავებისა და მიღების გარდა, საჭირო იქნება ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ კანონების შესრულებას.

რა თქმა უნდა, კანონების შემუშავებას და მიღებას არავითარი აზრი არ აქვს, თუ არ იქნება უზრუნველყოფილი მათი შესრულება. ცივილიზაციამ დიდი ხანია შეიმუშავა კანონის მოთხოვნათა განუხრელად გატარების უზრუნველყოფის მექანიზმები. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი ნათლად და გარკვევით მიუთითებს ერთ-ერთ ასეთ მექანიზმზე — სასამართლო ხელისუფლებაზე, რომელიც ფართო გაგებით მოიცავს არა მარტო საკუთრივ სასამართლოს, არამედ პროკურატურას, ადვოკატურას, საგამოძიებო აპარატს და ა. შ. ცხადია, კანონის მოთხოვნათა შესრულების უზრუნველყოფის სამართლებრივი მექანიზმები სასამართლო ხელისუფლებით არ ამოიწურება, მაგრამ ამ მექანიზმებში სასამართლოს მთავარი და გადამწყვეტი როლის შესრულება ეკისრება.

— გვაქვს თუ არა დღეს საქართველოს ახალი კონსტიტუციით აღიარებული ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შესაბამისი სასამართლო ხელისუფლება?

არა, არა გვაქვს! სწორედ ამით შეიძლება აიხსნას საქართველოს პრეზიდენტის არაერთგზის მითითება სასამართლო რეფორმის გადაუდებელ აუცილებლობაზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულმა სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისიამ დიდი ხანია შეიმუშავა სასამართლო რეფორმის პროექტი, რომელიც ემყარება იმ მიზეზების აღმოფხვრის აუცილებლობას, რომლებმაც განაპირობეს მართლმსაჯულების კრიზისი.

ახალი სასამართლო სისტემა ორიენტირებულია პროფესიულ მოსამართლეებზე, ამიტომ, სასამართლო რეფორმის პირველი ეტაპი უნდა დაიწყოს მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევითა და მომზადებით, ამჟამად მომუშავე მოსამართლეების გადამზადებით. მოსამართლედ შეიძლება რეკომენდაცია მიეცეს მხოლოდ ისეთ პირს, რომელიც მთლიანად უპასუხებს ამ მაღალი თანამდებობის დასაკავებლად საჭირო ყველა მოთხოვნას. სასამართლო რეფორმის სხვა ეტაპზე, კერძოდ, სასამართლო სისტემის თანდათანობით და გეგმაზომიერ შეცვლაზე გადასვლა შესაძლებელი იქნება იმის შემდეგ, როდესაც გვექნება მოსამართლეთა კორპუსის ღირსეული ადამიანებით დაკომპლექტების შესაძლებლობა.

— ბატონო თენგიზ, მიზანშეწონილი ხომ არ იქნება რაიმე სპეციალური ორგანოს შექმნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სასამართლო რეფორმის გატარებისათვის?

სანამ ამ თქვენს სრულიად კანონზომიერ კითხვაზე გიპასუხებდეთ, ერთ გარემოებაზე მინდა შევჩერდე: არავინ იფიქროს, რომ სასამართლო რეფორმა — ეს არის ერთჯერადი აქტი, რომ დაიმსხვრევა არსებული სისტემა და ერთბაშად აშენდება ახალი სასამართლო სისტემა. არა ასე არ მოხდება და არც უნდა მოხდეს. სასამართლო რეფორმა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და მას უაღრესად დახვეწილი პროგრამით და წინასწარ კარგად მოფიქრებული გეგმით უნდა წარმართვა. შეიძლება გამოითქვას მოსაზრება, რომ ეს მისია იუსტიციის სამინისტროს ან უზენაეს სასამართლოს უნდა დაეკისროს. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ უწყებრივი ინტერესები ცნობიერად თუ არაცნობიერად ხელს უშლიან, ზოგჯერ ამუხრუჭებენ კიდეც რაიმე სიახლის დანერგვას, სწორი და ყოველმხრივ მოფიქრებული ღონისძიების შემუშავებას და გატარებას. სწორედ ამითაც შეიძლება აიხსნას, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში შესაბამისი დარგის სამინისტროების გვერდით არსებობს სახელმწიფო მრჩეველთა ინსტიტუტი, რომელიც თავისუფალია უწყებრივი ინტერესებისაგან და ყოველთვის ხელმძღვანელობს მთელი ქვეყნის ინტერესებით.

რეფორმის პრაქტიკული გატარება აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა. ამიტომ, მიზანშეწონილია შეიქმნას საქართველოს პრეზიდენტთან სპეციალური ორგანო, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სასამართლო რეფორმის გატარებისათვის, ხოლო პრეზიდენტთან შეთანხმებული მისი გადაწყვეტილებები სავალდებულო იქნება შესასრულებლად.

ესაუბრა
ბიჯი ნიკვინიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიმართა საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. მოისმინეს 1995 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში, 1996 წლის ბიუჯეტის პროექტის, საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილებების და სხვა საკითხები. თათბირზე სიტყვით გამოვიდა ფინანსთა მინისტრი დავით იაკობიძე.

თათბირის მუშაობა შეაჯამა სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის უფროსმა დავით სალარიძემ.

საგადასახადო სამსახური

მეწარმე მეწველი ძროხა არ არის

საგადასახადო სამსახურის ობის ეფექტიანობა იმით საზღვრება, თუ რა თანხა მი- სახელმწიფო ბიუჯეტმა სხვა გადასახადის სახით. 95 წელს ბიუჯეტში მთლიანად რიცხულმა გადასახადებმა 8 მილიონი ლარი შეადგინა, ლად საერთაშორისო სავალ- ფონდის მიერ პროგნოზით ზღვრული 185,3 მილიონი ზრდის ტემპი განსაკუთ- შეიმჩნევა დამატებული ებულების გადასახადის შე- ების მოცულობაში, რომ- 62,1 მილიონ ლარს მიაღ- და შარშანდელ მაჩვენებელს სჯარბობს (მთელი შემო- ბის 30,4 პროცენტი). აშ- საშემოსავლო გადასახადის ტენდენციაც; შარშან ამ სახადიდან მიღებულმა თანხა- 20,3 მილიონი ლარი შეადგინა.

რესპუბლიკის ბიუჯეტის მონა- ბი კიდევ უფრო გაიზრდებ- რომ არ იზრდებოდეს ბან- სესხების ვადაგადაცილებული ლიანება (1995 წლის დასა- იდან იგი 4-ჯერ გაიზარდა და ბოლოსათვის 40,3 მილიონ მიაღწია), რამაც უარყოფ- იმოქმედა საწარმოთა ფინ- ურ მდგომარეობაზე, მათ გა- დისუნარიანობაზე.

ბიუჯეტში საგადასახადო შემ- ლების საპროგნოზო მაჩვენ- ბის შესრულება და შემო- ლების გაზრდა მნიშვნელოვნ- დამოკიდებულია საგადასახა- ორგანოების მიერ გამოვლე- დამალულ შემოსავლებზეც. შან შემოწმდა 9463 გადამხ- საგადასახადო კანონმდე- ბის დარღვევები გამოვლინ- 7019 გადამხდელთან და ბი- ის სასარგებლოდ დამატებ- დაერიცხათ 65 მილიონი ლა- რაც საერთო საგადასახადო შემოსავლების 45,8 პროცენტს დგენს.

შან საგადასახადო ინსპექ- ის ოპერატიული სამმართველ- მუშაკების მიერ გამოკვლეუ- მასალების საფუძველზე დაა- ფირმების „თბილისისა“ და რო-დილომის“ ხელმძღვანე- და მხოლოდ ბიუჯეტის და- ლიანებათა დაფარვის შემდეგ, ესაც მათმა ქმედებამ დაკარ- საზოგადოებრივად საშიში ხა- პატიმრობა თავდებობით შეეცვალათ. ამჟამად დაპატიმრ- ლი არიან ფირმების „მარი-“ და „მარიამის“ ხელმძღვა- ბი. გამოვლინდა 21 იურიდი- და 321 ფიზიკური პირი, ლებიც სამეურნეო საქმიანო- ეწეოდნენ ყოველგვარი სა- მწიფო რეგისტრაციის გარ- მარტო თბილისის ისნის ბა- ობაზე მოწყობილი საკონტრ- -პროფილაქტიკური ღონის- ის შედეგად აღრიცხვაზე აი- ეს 110 ფიზიკური პირი. იმ განიზაციების ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მდგომარეობის შემოწმებით, რომლებმაც მოახდინეს ძვირფასი ლითონების შემცველი მადნების, კონცენტრატების, ჯართისა და ნარჩენების, სილიკომანგანუმისა და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის სამრეწველო საქონლის გადატვირთვა, ამოღებულია 1.2 მილიონი დოლარი, საწვავ-საპოხი მასალების იმპორტისა და შემდგომი რეალიზაციის საკითხების შემოწმების შედეგად — 1,3 მილიონი ლარი, საბანკო დაწესებულებებიდან — 810 ათასი ლარი და ა. შ.

მნიშვნელოვანი დარღვევები დადგინდა სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტში. მოგების გადასახადით და დამატებული ღირებულების გადასახადით ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მდგომარეობის შემოწმების შედეგად ბიუჯეტში გადასახდელად დარიცხულმა თანხამ 6,3 მილიონი ლარი შეადგინა. უხეში დარღვევები გამოვლინდა აგრეთვე დეპარტამენტის საფინანსო სამსახურების მიერ შემოსავლების განსაზღვრაში, რკინიგზის კუთვნილი ელექტროენერგიის გარეშე მომხმარებლებზე გაყიდვისას დამატებული ღირებულების გადასახადის გაანგარიშებაში და შესაბამისად ამონაგებში ასახვაში, საზღვარგარეთ არსებული ანგარიშების მიხედვით შემოსავლების განსაზღვრაში და ა. შ.

კავშირგაბმულობის სამინისტროს სატარიფო შემოსავლების შემცირების, დანახარჯების ზედმეტი ოდენობით განსაზღვრისა და მოგების გადასახადის ხელოვნურად შემცირების გამო ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დაერიცხა 2,1 მილიონი ლარი. სამინისტროს დაქვემდებარებულ საწარმოებში დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის განაკვეთი, ნაცვლად კანონით განსაზღვრული 20 პროცენტისა, აღებული იყო 14 პროცენტი. ამასთან, გაანგარიშება, შესრულებული სამუშაოების ნაცვლად, ხდებოდა ფაქტიურად მიღებული თანხებიდან. კავშირგაბმულობის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოს დამატებული ღირებულების გადასახადის არასწორი გაანგარიშების გამო დაერიცხა 1,2 მილიონი ლარი.

გორის ავტოსატრანსპორტო საწარმოებში მთლიანად იყო მოშლილი აღრიცხვა-ანგარიშგება. არასწორად იანგარიშებოდა რეალიზაციის მოცულობა, შემცირებული იყო მგზავრთა გადაყვანით მიღებული შემოსავლები, არ კონტროლდებოდა მძღოლების მიერ ამონაგები თანხების აღრიცხვა, თვითდინებაზე იყო მიშვებული ფასწარმოქმნის, ნაღდი ფულის ინკასაციის პრობლემები და სხვა, რის შედეგადაც საწარმოებს დამატებით დაერიცხათ 802 ათასი ლარი.

მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში მოწყობილი შემოწმებით დადგინდა, რომ ხელოვნურად მახინჯდებოდა ექსპორტით რეალიზებული პროდუქციის ღირებულება და ბალანსში შემოსავლები შემცირებული ოდენობით ისახებოდა. ამის შედეგად საწარმოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დაერიცხა 550 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტური ლარი. კომბინატის ხელმძღვანელობის უპასუხისმგებლობის გამო, წლების განმავლობაში ირღვეოდა ეროვნულ ფასეულობათა სახელმწიფო ფონდთან დადებული ხელშეკრულებები ძვირფასი ლითონების ჩაბარების თაობაზე, რის გამოც მნიშვნელოვნად შეფერხდა რესპუბლიკის ოქროს მარაგის ფორმირება და დაზარალდა სახელმწიფო.

1995 წელს რესპუბლიკაში შემოტანილი ნავთობპროდუქტების ნატურალური გადასახადის რეალიზაციიდან ბიუჯეტში დამატებით ჩარიცხულია 11,1 მილიონი ლარი.

და მაინც: არსებული საგადასახადო კანონმდებლობა, ბევრი ღირსების მიუხედავად, სრულყოფას საჭიროებს. უპირველესად, ეს ეხება საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო გადასახადების როგორც განაკვეთების სიდიდეს, ასევე მათ სიმრავლეს. სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის უფროსის დავით სალარიძის აზრით, აუცილებელია სხვადასხვა საბიუჯეტო გადასახადის უნიფიცირება — სხვადასხვა ფონდში უნდა დარჩეს მხოლოდ ის გადასახადები, რომლებიც ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობისთვის არის დამახასიათებელი. პროექტის სახით უკვე მომზადებულია საგადასახადო კოდექსი, რომლის სტრუქტურა აგებულია არა გადასახადების გაზრდის, არამედ გადამხდელთა სიმრავლის პრინციპზე. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ქვეყანას უნდა ჰქონდეს ერთი ფუნდამენტური დოკუმენტი, რომელშიც სისტემატურად არ მოხდება ცვლილებები და კორექტივები.

მომზადებულია საგადასახადო კოდექსის პროექტის პირველი ვარიანტი (მან აპრობაცია უნდა გაიაროს საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსპერტებთან, პარლამენტის სათანადო კომიტეტებში). მისი ძირითადი მუხლები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: მაქსიმალურად შემცირდება გადასახადის სახეობები (მათ შორის, არაეფექტიანი გადასახადის სახეები და არასაბიუჯეტო ფონდებში გადასახადები), ამასთან, გამარტივდება და გასაგები გახდება ეს გადასახადები; კოდექსმა უნდა გამიჯნოს ხელისუფლების სხვადასხვა დონის კომპეტენცია გადასახადების შემოღების ნაწილში; მკვეთრად ჩამოყალიბდება გადამხდელებისა და საგადასახადო ორგანოების უფლება-მოვალეობანი (განსაკუთრებით, გადამხდელის მიმართ იძულებითი ზომების გამოყენებისას), ამავე დროს გაფართოვდება გადამხდელთა უფლებები — შემოწმებაზე დაუშვას მხოლოდ უფლებამოსილი მაკონტროლებელი ორგანო; დავა გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოებს შორის უფრო კომპეტენტურად გადაწყდება, როცა შეიქმნება სპეციალური საგადასახადო სასამართლო; საგადასახადო კოდექსი მოაწესრიგებს საგადასახადო ვალდებულებებსა და მისი შესრულების კონტროლის წესს (როგორიცაა: გადასახადის გადავადება, საგადასახადო კრედიტის საკითხი); კოდექსმა უნდა განსაზღვროს საგადასახადო აღრიცხვის გამიჯვნა ბუღალტრული აღრიცხვისაგან (ძირითადი სისტემა იქნება „დარიცხვის მეთოდი“); უნდა განისაზღვროს პასუხისმგებლობა საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის — აუცილებელია გაიმიჯნოს შეცდომა შემოსავლების განზრახ დამალვისაგან..

თათბირზე ითქვა, რომ ფაქიზად უნდა მოეპყრათ ახლად აღმოცენებულ მესაკუთრეთა ფენას, საჭიროა გადასახადის გადამხდელის დაცვა გაუთავებელი შემოწმებებისაგან. სხვა მაკონტროლებელ ორგანოებზე რომ არაფერი ითქვას, დღემდე თვით საგადასახადო ორგანოების სხვადასხვა რგოლს შორის არ არსებობს მაკოორდინირებელი მექანიზმები. მეწარმე „მეწველი ძროხა“ არ არის!

საგადასახადო სამსახურის წინაშე დიდი ამოცანაა დასახული 1996 წელს. ბიუჯეტის იმ პროექტით, რომელსაც მალე განიხილავს რესპუბლიკის პარლამენტი, გათვალისწინებულია 350 მილიონ ლარზე მეტი საგადასახადო შემოსავლები და სხვა არასაგადასახადო შემოსავლები და მოსაკრებლები. ამას ისიც ემატება, რომ საგადასახადო ინსპექციის წინაშე დგება არასაბიუჯეტო ფონდების შემოსავლების მოკრების საკითხიც.

დასახული დიდი ამოცანები ახლებურ ძალისხმევას მოითხოვს. მსოფლიოს საფინანსო ინსტიტუტების რეკომენდაციით ხორციელდებოდა საგადასახადო სამსახურის სტრუქტურული რეორგანიზაცია. იგი როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ საგადასახადო ორგანოებსაც ეხება. იქმნება ახალი სტრუქტურული ქვედანაყოფები, რომლებიც უფრო მოქნილს გახდის საგადასახადო სამსახურის საქმიანობას. მაგალითად, საგადასახადო ორგანოებში იქმნება გადამხდელთა მომსახურების ქვედანაყოფები, რომელთა ძირითადი მოვალეობაა საგადასახადო კანონმდებლობისა და ბიუჯეტთან ანგარიშსწორებისათვის საჭირო ნორმატიული აქტების გადამხდელებამდე დაყვანა,

გადამხდელთა აღრიცხვისა და საიდენტიფიკაციო ნორმების განყოფილების ძირითადი ფუნქცია ყველა გადამხდელის აღრიცხვა იქნება. აქ ორი მომენტი არსებობს. მეწარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად, რეგისტრაცია უნდა გაიაროს ყველა ორგანიზაციამ. უიმისოდ იგი არაკანონიერად, არალეგალურ ორგანიზაციად ითვლება, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით (ბანკში ანგარიშის გაყინვით ან გაუქმებით). მეორე მომენტია საიდენტიფიკაციო ნომრების მინიჭება საგადასახადო ორგანოების მიერ. ეს ნომრები უნდა ჩაჯდეს ორგანიზაციის ბეჭდებშიც. თუ ამ მოთხოვნას არ შეასრულებს, ორგანიზაცია კანონიერ გადამხდელებში არ ჩაითვლება.

ცენტრალურ აპარატში იქმნება სპეციალური ქვედანაყოფი — საჩივრებისა და პროტესტების განყოფილება, რომელიც განიხილავს და მოაწესრიგებს გადამხდელსა და საგადასახადო ორგანოებს შორის წარმოქმნილ დავას.

ცენტრალურ აპარატში სიახლეა მსხვილ გადამხდელთა ინსპექცია. იგი რესპუბლიკაში არსებულ 250-მდე მსხვილ საწარმოს მოემსახურება, გააკონტროლებს ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას, რაც თავის მხრივ დახვეწავს კონტროლის სისტემას.

ასე რომ, სახელმწიფო საგადასახადო სამსახური ახლდება სტრუქტურულად, ახლდება კანონმდებლობითაც.

ალექსანდრე ალექსიშვილი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ჩეჩნეთში ვითარება იძაბება

ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში სეპარატისტთა ლიდერის ჯოხარ დუდაევის მომხრეთა განუწყვეტელმა მიტინგებმა სიტუაცია უკიდურესად დაძაბა არა მარტო ამ ქალაქში. უკვე მეხუთე დღეა, რაც სამი ათასზე მეტი მომიტინგე მოითხოვს ჩეჩნეთიდან ფედერალური ჯარების გაყვანას და რესპუბლიკის მეთაურის დოკუ ზავგაევის გადაყენებას. ქალაქში კვლავ შემოდის საბარგო ავტომანქანები და ავტობუსები, რომლებსაც ჩეჩნეთის სხვადასხვა რაიონებიდან სეპარატისტთა ახალ-ახალი წარმომადგენლები ჩამოჰყავთ. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით ბევრ მომიტინგეს იარაღი აქვს და სულ უფრო რეალური ხდება მისი გამოყენების შესაძლებლობა. ჩეჩნეთში ფედერალური ჯარების სარდალმა ვიაჩესლავ ტიხომიროვმა მკაცრად გააფრთხილა, რომ ნებისმიერი სერიოზული პროვოკაციის შემთხვევაში სამხედრო მოსამსახურეები დაუყოვნებლივ გახსნიან ცეცხლს. ქალაქის ცენტრალურ მოედანთან, სადაც მიტინგი გრძელდება, მიყვანილია ფედერალური ძალების ჯავშანტექნიკა. დაძაბულ ვითარებასთან დაკავშირებით ქალაქში დაიხურა რამდენიმე დაწესებულება. ჩეჩნეთის მთავრობამ გადაწყვიტა კრიზისის მოწესრიგების ოპერატიული შტაბის შექმნა.

პრემიერ-მინისტრმა შვებულება შეწყვიტა

რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა ოთხშაბათს შეწყვიტა თავისი შვებულება და სოჭიდან მოსკოვს დაბრუნდა, რათა მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის უშიშროების საბჭოს სხდომაში. როგორც მთავრობის აპარატის წარმომადგენელმა განაცხადა, იგი იმავე დღეს შეხვდა დანიის პრემიერ-მინისტრს პოულ ნიურპს, ხუთშაბათს, ჩერნომირდინი მონაწილეობას მიიღებს მოძრაობა „ჩვენი სახლი რუსეთია“ საბჭოს სხდომაში. სამშაბათს, კურორტ სოჭში ყოფნისას პრემიერ-მინისტრმა უარყო ჭორები თავისი მომავალი გადადგომის შესახებ, მან დაადასტურა კაბინეტის ერთგულება საბაზრო რეფორმების კურსისადმი, რომელიც, როგორც მან აღნიშნა, დიდი ხარვეზებით მიმდინარეობს. პრემიერმა მიუთითა, რომ აუცილებელია მოქმედების კორექტირება, განსაკუთრებით სოციალური პოლიტიკის სფეროში. კორესპონდენტების შეკითხვაზე; აპირებს თუ არა იგი კენჭი იყაროს პრეზიდენტის პოსტზე, მან განაცხადა, რომ იგი არ მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში, თუ პრეზიდენტი ბორის ელცინი კენჭს იყრის მეორე ვადით.

სახელმწიფო მდივანი დამასკოში ჩავიდა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი უორენ კრისტოფერი სირიის დედაქალაქ დამასკოში ჩავიდა პრეზიდენტ ჰაფეზ ასადთან შესახვედრად. კრისტოფერმა თავისი ახლო აღმოსავლეთის 5-დღიანი ტურნე კვირას იერუსალიმში ვიზიტით დაიწყო, რათა ახალი სტიმული შემატოს სირია-ისრაელის სამშვიდობო დიალოგს.

სახელმწიფო მდივანმა ისრაელის პრემიერ-მინისტრ შიმონ პერესთან ერთად იერუსალიმში განაცხადა, რომ სამშვიდობო მოლაპარაკება დამასკოში გაგრძელდება იმის მიუხედავად, შედგება თუ არა ისრაელში ვადამდელი არჩევნები. თუმცა სირიის ოფიციალურ პრესაში გამოითქვა აზრი, რომ ისრაელში რიგგარეშე არჩევნები ნეგატიურ ზემოქმედებას იქონიებს მოლაპარაკების მსვლელობაზე.

რუსეთი კონტრაქტის შესრულებას შეუდგა

რუსეთმა დაიწყო ირანთან კონტრაქტის (რვაასი მილიონი დოლარის ღირებულების) რეალიზაცია, რათა დაამთავროს ბუშერში ატომური სადგურის პირველი ბლოკის მშენებლობა. რუსეთი ვალდებულია 55 თვეში დაამთავროს ყველა სამუშაო და მოამზადოს პირველი ბლოკი ასამოქმედებლად. ამჟამად რუსეთის სპეციალისტები ამოწმებენ ობიექტის ტექნიკურ მდგომარეობას. ამ ობიექტს 1979 წლამდე აგებდა გერმანული ფირმა „სიმენსი“. კონტრაქტი ბუშერში ატომური ელექტროსადგურის პირველი ბლოკის (ათასი მეგავატის სიმძლავრის) დამთავრების შესახებ ხელმოწერილი იქნა რუსეთსა და ირანს შორის 1995 წელს.

თეატრი

ტკივილიანი სეზონი

შუა სათეატრო სეზონიც გაიყინა. თითქმის ყველა თეატრის კარი გამოიკეტა. მარჯანიშვილის სახელობის თეატრშიც შეწყდა სპექტაკლების სტაბილური ჩვენება. ბოლო წლებში თეატრები მოთმინებით ელოდნენ იმ დროს, როცა ქვეყანა დამშვიდდებოდა, მანამდე, როგორც შეეძლოთ, ისე მუშაობდნენ. დგამდნენ სპექტაკლებს, უმძიმეს პირობებში სიმხნევესა და რწმენას უნერგავდნენ მაყურებლებს,

დღეს უკვე მათ აქვთ მორალური უფლება მინიმუმი მაინც მოითხოვონ. ვიცით, რომ ყველაფერი ერთბაშად არ გაკეთდება, მაგრამ განა შეიძლება დედაქალაქის თეატრები წყვეტდნენ სეზონს? თეატრზე დანახარჯი ხომ ათმაგად ნაზღაურდება, თუ სულიერ კულტურას თავის ღირებულებას ვანიჭებთ!

სეზონის შეწყვეტა არ ნიშნავს დასის მუშაობის მთლიან შეჩერებას, თეატრები იბრძვიან შეინარჩუნონ „სასიცოცხლო პულსი“, მაგრამ დღევანდელ პირობებშიც კი არაფერი არ ამართლებს იმას, რომ თეატრებს მუშაობის საშუალება არ მიეცა.

თეატრმა კარგად იცის, თუ რას ნიშნავს სამითოხი თვით გაჩერება, ამიტომ იძულებულია სარეპეტიციო მუშაობა მაინც აწარმოოს. რეჟისორები მედეა კუჭუხიძე და დავით ანდღულაძე რეპეტიციებს გადიან. მზადდება კაროლ ვოიტილას პიესა „ოქრომჭედლის ფარდულის წინ“ და ტ. სტოპარდის „როზენკრანცი და გილდენსტერნი მკვდრები არიან“.

კ. მარჯანიშვილის თეატრმა დასადგმელად მოიწვია ახალგაზრდა რეჟისორი ზაზა სიხარულიძე, რომლის სპექტაკლიც — პ. შეფერის „ამადეუსი“ ნოემბერში იქნა წარმოდგენილი.

ზ. სიხარულიძე მარჯანიშვილის სახელოვან თეატრში თავისი გარკვეული შემოქმედებითი ბიოგრაფიით და მხატვრული მრწამსით მივიდა. ნიჭიერ ახალგაზრდა რეჟისორს პირველად ბათუმის თეატრში მოუხდა თავისი პოზიციის გამოხატვა. მახსოვს, როგორი ვნებათაღელვა იყო მისი სპექტაკლების ირგვლივ, რადგან ახალგაზრდა შემოქმედი სპექტაკლის ფერწერული გადაწყვეტისათვის ეძებდა ახალ ხერხებს, სცენურ გამომსახველობათა სინთეზში ნათლად იკვეთებოდა მიზანსცენათა გამორჩეული ესთეტიკური ღირებულებანი. შენელებული კადრები ქმნიდნენ გარკვეულ რიტმს, რომელიც კომპენსირდებოდა ვიზუალურად ეფექტური და არაორდინარული სანახაობით, რომელიც გარკვეულ ელიტარულ მაყურებელსაც გულისხმობდა.

პ. შეფერის „ამადეუსის“ დადგმაში გაღრმავდა და გაფართოვდა რეჟისორის ძიებათა არეალი, თუმცა რეჟისორი ერთგული დარჩა თავისი პრინციპებისა. კვლავ ფერწერული გადაწყვეტა. კომპოზიციურად კარგად შეკრული. მიზანსცენებში „მოწყვეტილი“ შუქ-ჩრდილები, რომლებსაც ერთმანეთისაგან დაშორებული, დახშული სივრცე გამოჰყოფს, რამდენადაც მშვენიერია სამზერად, იმდენად სარისკოა რიტმის თვალსაზრისით. მაგრამ აქაც ყველაფერი დამოკიდებულია მაყურებლის დონეზე, მის გემოვნებაზე, აქ კი საკმაოდ მაღალია სპექტაკლის სათეატრო ესთეტიკური კრიტერიუმი. ამ მხრივ იგი თავის გამორჩეულ ადგილს იჭერს თეატრის მრავალფეროვან რეპერტუარში. რეჟისორმა შექმნა რთული შინაგანი კონსტრუქციის წარმოდგენა, სადაც მსახიობები არამარტო შემოქმედებით თავისუფლებას გრძნობენ, არამედ „რეჟისორულ არტახებსაც“. წარმოდგენის აგების თვით პრინციპი განაპირობებს „სცენურ აფეთქებათაგან“ შეკავებას, რადგან სპექტაკლში ყველაფერი ლოგიკური აზროვნების მკაცრ ნორმებსა და ინტელექტუალურ ფორმებს უკავშირდება. მოცარტისა და სალიერის ცნობილი მითი, რომელიც ზოგადადამიანურ პლანშია წარმოდგენილი, სწორედ კოტე მახარაძის სალიერში პოულობს დახვეწილ ემოციურ და ინტელექტუალურ განსხეულებას. რეჟისორისა და კოტე მახარაძის სალიერის თანამოაზრეობის ხასიათი არსებით გავლენას ახდენს წარმოდგენის საერთო კულტურულ დონეზე.

კარგია, რომ მარჯანიშვილის თეატრმა ახალგაზრდა რეჟისორებს დაუთმო სცენა. ზ. სიხარულიძის „ამადეუსის“ მითოსური გარსის მიღმა შეიგრძნობა თანადროული პრობლემები. ზოგადდებიან გმირების ღრმა ადამიანური შინაგანი კონფლიქტები. ჩვენთვის ბევრი რამ არის ნაცნობი და გასაგები არა მხოლოდ მითოლოგიური ასპექტით.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს სპონსორ ლაშა კალაძის დამსახურება სპექტაკლის ეკონომიური უზრუნველყოფის მხრივ.

წარმატებით დაამთავრა რუსთაველის თეატრმა გასტროლები კიევსა და მინსკში. უკრაინელი მაყურებელი ქართულ თეატრს პირველად ამ სამოცდახუთი წლის წინათ შეხვდა. ჯერ კ. მარჯანიშვილის თეატრის გასტროლები, ხოლო შემდეგ რუსთაველის თეატრისა, რომელსაც ს. ახმეტელი ხელმძღვანელობდა. მაშინ ყველაფერი, და მათ შორის, თეატრის გასტროლებიც პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი და ამიტომ გამოხმაურებასაც სხვა ელფერი დაჰკრავდა, მაგრამ მთავარს მაინც თეატრების მაღალმხატვრული დონე განსაზღვრავდა. კარგია, რომ ტრადიცია გაგრძელდა.

წინა მიმოხილვაში ვწერდით, რომ ქართულ თეატრში იგრძნობა ახალ თაობათა წარმოჩენის პროცესი. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის მიერ მსახიობთა სახლში ჩატარებულ „ახალგაზრდულ საღამოებს“. წარსულ წლებში იმართებოდა თეატრის მოღვაწეთა ხსოვნის საღამოები, რასაც დიდი რეზონანსი ჰქონდა. იმედია, რომ საზოგადოება მომავალშიც გააგრძელებს ტრადიციებს.

შეხვედრები კარგად იყო ორგანიზებული, მაგრამ მაინც თავი იჩინა ჩვენი სათეატრო საზოგადოებრიობის ერთგვარმა გულგრილობამ. როცა რომელიმე თეატრის მსახიობებს შეხვედრას უწყობენ, იმ თეატრის ზნეობრივი ვალია მონაწილეობდეს ასეთ შეხვედრაში. რუსთაველის თეატრის ორი საუკეთესო ახალგაზრდის ნ. კასრაძის და ზ. პაპუაშვილის საღამოზე თეატრის ორიოდე მსახიობი ესწრებოდა. რატომ? საიდან გაჩნდა ასეთი გულგრილობა? ეს შემთხვევითი არ უნდა იყოს, **რუსთაველის თეატრში თანდათან ფეხი მოიკიდა გულგრილმა დამოკიდებულებამ ადამიანთა ბედის მიმართ, რამაც ნიშანდობლივად იჩინა თავი ამ საღამოს.** თეატრის წევრისადმი დამოკიდებულების საპირისპირო მაგალითი გვიჩვენა გ. აბაშიძის სახელობის მუსიკალურმა თეატრმა, როცა მსახიობთა სახლში ფეხზე დასადგომი ადგილიც კი არ იყო მსახიობების მ. ჯოხაძესა და ი. ფოფხაძესთან შეხვედრის დროს.

14 იანვარს აღინიშნა ქართული თეატრის დღე. იგი იმითაც იყო გამორჩეული, რომ ჩატარდა პირველ საშუალო სკოლაში, ანუ ყოფილ გიმნაზიაში, სადაც პირველად გაიმართა გ. ერისთავის „გაყრის“ წარმოდგენა. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ქართულმა თეატრმაც დიდი გზა გაიარა. გ. ერისთავის თეატრი უმკაცრესი კოლონიური ქვეყნის თეატრი იყო. დღეს კი თავისუფალი, დამოუკიდებელი ქვეყანა იხსენებს ისტორიულ ფაქტს. დიდად არც ახლა ულხინთ ჩვენს თეატრებს, მაგრამ რა საოცა-

(დასასრული მე-4 გვ.)

გამოძიება ბრალს სდებს

ქართველების გენოციდი აფხაზეთში

3. ცოცხალ კაცს სკალპი ააჭრეს

ზორ ბალუაშვილი ყვება, თუმცა, აშკარად ეტყობა, თავს ძალას ატანს, უჭირს:

—გაგრის საკურორტო სამმართველოს უფროსის ალექსი ბარამიას ოჯახს აფხაზი და ჩეჩენი „ბოევიკები“ თავს დაესხნენ. სახლში ალექსი ბარამიას გარდა იყვნენ მისი მეუღლე ნათელა, ქალიშვილი ცისია და ოთხი სტუმარი. თავდამსხმელებმა მათ თვალწინ აბაზანაში გაიყვანეს ცისია ბარამია. ჯერ გააუპატიურეს, შემდეგ კი თავი მოჰკვეთეს. ალექსი ბარამიას მეუღლეც აწამეს და თავი მოჰკვეთეს. შემდეგ კი ბარამია და მისი სტუმრებიც დახვრიტეს.

ეშერაში დატყვევებული ძმების, მამის და მამამთილის თვალწინ გააუპატიურეს ელისო მირცხულავა და მისი რძალი, ეროვნებით რუსი. სასოწარკვეთილმა ქალმა თავი აიფეთქა.

კოდორელ ალე კანკავას თავი მოჰკვეთეს და სარზე ჩამოაცვეს.

ბიჭვინთაში თენგიზ ბენდიანიშვილის თვალწინ ჯგუფურად გააუპატიურეს მისი და მზია, შემდეგ ორივე დახვრიტეს.

ახალსოფლელი ალისა მარდალეიშვილი ავტომატის ჯერით იმისთვის დაცხრილეს, რომ შინ შაქარი არ აღმოაჩნდა.

ხშირად ასეთ საშინელებას არძინბას და მისი ხროვის ფაშისტური იდეებით გონებადაბინდული 18-20 წლის აფხაზი ჭაბუკები სჩადიოდნენ, რომლებსაც სამკლაურებზე ეწერათ „სმერტ გრუზინამ!“ („სიკვდილი ქართველებს!“).

1993 წლის 27 ივლისის შეთანხმების შემდეგ სეპარატისტებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედება ქართველ მოსახლეობაზე, ბზიფში მათ ჩამოართვეს პასპორტები და თვითნებურად ჩაურტყეს ამოწერის შტამპები, მოკვლის მუქარით აიძულეს ხელი მოეწერათ თხოვნაზე, თითქოს საკუთარი სურვილით ტოვებდნენ დაბას.

1993 წლის 9 აგვისტოს სეპარატისტებმა ქართველი მოსახლეობა ფიზიკური განადგურების მუქარით გადაიყვანეს ადლერის აეროპორტში, დაურიგეს საცხოვრებელი ადგილებიდან ამოწერის დოკუმენტები. ამ გზით მარტო ბზიფიდან დეპორტირებული იქნა 250 ოჯახი — 3000 პირი. ბზიფელი ქ. კიკვილაძე და მისი 12 წლის ქალიშვილი დახვრიტეს იმის გამო, რომ მათ უარი განაცხადეს მშობლიური ადგილიდან აყრაზე. ამ საბაბით დახვრიტეს სხვა პირებიც.

პროკურატურას აქვს მონაცემები, რომ 1992 წლის ოქტომბერში, გაგრის ოკუპაციის შემდეგ ქალაქის სტადიონზე და მასობრივი შეკრების სხვა ადგილებში ჯგუფურად დახვრიტეს ქართველები და გვამებს თავები მოჰკვეთეს.

გამოძიების მიერ დაფიქსირებულია მშვიდობიანი მოსახლეობის გაჟლეტის ასობით სხვა ფაქტი. ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებასაც, რომ ასეთი ფაქტები გამოავლინა, გამოიკვლია და თავის მოხსენებაში ასახა გაეროს გენერალური მდივნის საგანგებო კომისიამ.

დადგენილია, რომ სეპარატისტებმა მუქარითა და შანტაჟით აიძულეს ცოცხლად დარჩენილი 17 ათასი ქართველი, უპირობოდ აყრილიყო და გადახვეწილიყო.

თვეების განმავლობაში სოხუმის ბარბაროსული დაბომბვა, ალბათ, გახსოვთ.

— მე მგონი, ყველას ისიც ახსოვს, რა განაცხადა მაშინ არძინბამ, — ჩვენ გვჭირდება ტერიტორია და არა ქალაქიო.

— ახლა მე წარმოგიდგენთ ამ იდეის განხორციელების სურათს ფაქტების ჭრილში. მარტო სოხუმს სეპარატისტებმა თავს დაატეხეს ათიათასობით ბომბი, დაიხარჯა 1.000 ვაგონი ჭურვი, დაბომბვამ იმსხვერპლა 400-ზე მეტი მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე.

მხოლოდ შიშით შეიძლება აიხსნას ის, რასაც აფხაზი სეპარატისტები სჩადიოდნენ. როგორც წესი, სოხუმს ღამე ბომბავდნენ, მაშინ, როდესაც ქალაქს ეძინა, საგანგებოდ არჩევდნენ და მეთოდურად ბომბავდნენ საცხოვრებელ უბნებს.

განუწყვეტლივ ბომბავდნენ სოხუმის აეროპორტს, 50 ქალი და ბავშვი დაიღუპა აქ. „ბოევიკებმა“ რაკეტების პირდაპირი დამიზნებით რამდენიმე სამოქალაქო თვითმფრინავი ჩამოაგდეს — ასობით ადამიანი დაიწვა და ჩაიფერფლა.

გენოციდის სადისტური ხერხებით განხორციელების შედეგად სოხუმში მცხოვრები 49.460 ქართველიდან ადგილზე პრაქტიკულად არავინ დარჩა.

სოხუმის დაცემის შემდეგ ჯალათებმა 1.000-ზე მეტი ქართველი დახოცეს, მათ შორის, მოხუცები, ინვალიდები, ბავშვები.

— ხომ არ აჭარბებს ამ საშინელი ციფრების მიღმა ტრაგიკული ფაქტები?

— არა. გამოძიებას ყველა ფაქტი დაზუსტებული და დაფიქსირებული აქვს. ეს საშინელებაა, მაგრამ უნდა მოერიო გრძნობებს და მშვიდად, ობიექტურად აღნუსხო, აღწერო, დაასაბუთო ყველა და თითოეული.

სადისტური წამების შემდეგ დახვრიტეს სოხუმელი ცოლ-ქმარი ვაჟა და ლამარა რუხაიები; მშობლების თვალწინ მოკლეს ახლომხედველი, დაბადებით ინვალიდი მიშა ქვანტალიანი; შვილების თვალწინ დახოცეს დები ნათელა და ნელი ყოლბაიები, 80 წლის დ. ზერულავა და მისი შვილობილი, რუსი ი. ტიურინი. ეს უკანასკნელი მხოლოდ იმისათვის გამეტეს, რომ უმწეო მოხუცს გამოესარჩლა, დედის თვალწინ გამოასალმეს წუთისოფელს პ. ბოხოხიძე. ნანა მათეთაშვილი დახვრეტამდე საჯაროდ გააუპატიურეს. მოკლეს გენერალი ა. ქომოშვილი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე ვ. საკაიანი და ასობით სხვა პირი.

ახალგაზრდა პედაგოგი ციური გოგავა აფხაზმა მეგობრებმა და მეზობლებმა შეიფარეს. საუბედუროდ, „ბოევიკებმა“ ეზოში, წყლის ასაღებად გამოსული იცნეს, ჯერ ცინიკურად შეურაცხყვეს მისი პიროვნული ღირსება, შემდეგ — „ძაღლო, გაიქეცი!“ — უბრძანეს და ნაბიჯის გადადგმისთანავე დახვრიტეს.

იქვე ახლოს, მეთორმეტე საშუალო სკოლასთან, ლუდხანის წინ აფხაზი და კაზაკი „ბოევიკები“ ქართველთა მოკვეთილ თავებს ფეხით აბურთავებდნენ და ხარხარებდნენ.

სოხუმელები როინ შუბლაძე და გურამ კვაშილავა სეპარატისტებმა საკუთარ ბინებში ავტომატის ჯერით დაცხრილეს. შემდეგ ორთავეს მკლავებსა და ფეხებზე ხორცი აჭრეს და იატაკზე დაყარეს, როინ შუბლაძის თავზარდაცემული მეუღლის კითხვაზე, რატომ ჩაიდინეს ასეთი ბარბაროსობა, უპასუხეს, — თუ აფხაზეთს არ დატოვებთ, ყველა ქართველს ასე გავუსწორდებითო.

სეპარატისტებმა დაანგრიეს ქართველთა ასობით საცხოვრებელი სახლი, რათა უკან დაბრუნების საშუალება და ხალისი მოესპოთ მათთვის.

თქვენი გაზეთის მკითხველები, დარწმუნებული ვარ, ხვდებიან, რომ მე ყველა ფაქტს, ყველა გვარსა და სახელს აქ ვერ დაგისახელებთ, იძულებული ვარ, ზოგიერთი მხოლოდ ინიციალებით მოვიხსენიო, მიზეზი მრავალია, არის გარკვეული საშიშროებაც, რისკიც, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ იფიქროთ, თითქოს გამოძიება რომელიმე, თუნდაც ერთი ფაქტის სინამდვილეში ბოლომდე დარწმუნებული არ არის და ამიტომ ამჯობინებს საჯაროდ არ განაცხადოს.

არა, ეს მიზეზი მოხსნილია.

— თქვენ მხოლოდ სოხუმში ჩადენილ ბოროტმოქმედებაზე ისაუბრეთ, სხვას არ დაასახელებთ?

— სწორედ ახლა ვაპირებდი ამის გაკეთებას, რადგან გენოციდის პოლიტიკა განსაკუთრებით ფართო მასშტაბით განახორციელეს გალის რაიონში, რომელიც ძირითადად ქართველებით იყო დასახლებული, 96 ათასი მცხოვრებიდან 97 პროცენტი ქართველი იყო. ამ რაიონის მოსახლეობას საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა არ მიუღია. 29 სექტემბერს ოკუპანტებმა გალი უომრად დაიპყრეს და მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივ ხოცვა-ჟლეტას შეუდგნენ.

— გასულ ზაფხულს მეც მქონდა შესაძლებლობა ამ სისხლიანი ბაქქანალიის შედეგები მენახა და, ჩვენი მკითხველებისთვის მოგეთხრო.

— ეს მიადვილებს ამოცანას, და პირდაპირ დაგისახელებთ სადიზმის პარამეტრებს გალის რაიონში: აფხაზმა სეპარატისტებმა გადაბუგეს და დაანგრიეს 5727 სახლი, 40 საშუალო სკოლა, საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების 95 ობიექტი, გარეკეს 25 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. საკონსერვო და მეფრინველეობის ფაბრიკებიდან, ხელსაწყოებისა და მანქანათმშენებლობის ქარხნებიდან მთლიანად გაიტაცეს უცხოური, ძვირადღირებული დანადგარ-მოწყობილობანი, არსებითად გაძარცვეს რაიონის ეკონომიკა.

ოქუმში 710 საცხოვრებელი სახლიდან დაწვეს ან დაანგრიეს 610; წამებით მოკლეს 65 ადამიანი, მათ შორის, 20 ქალი: 90 წლის ვენერა ანთია, 55 წლის ნელი გურგაია, 81 წლის ვერა გუნია, 67 წლის ალმა ლაცუზბაია, 56 წლის ნათელა მელია. 22-24 წლის დები ნინო და ნატო პოლეტაევები ჯერ ხალხის თვალწინ გააუპატიურეს, შემდეგ — დახვრიტეს.

ქალაქ გალში 1.040 სახლი დაანგრიეს, 120 ადამიანი, მათ შორის, 20 ქალი წამებით მოკლეს.

აჩიგვარაში გადაწვეს და დაანგრიეს 411 სახლი, დახვრიტეს 70 მაცხოვრებელი, მათ შორის,— 17 ქალი, გუდავაში 429 სახლი დაწვეს, 55 ადამიანი, მათ შორის, — 14 ქალი წამებით მოკლეს.

ასეთივე უბედურება დაატეხეს თავს მზიურს, ქვემო და ზემო ბარღებს, რეფო-შეშელეთს, ოტობაიას, ნაბაკევს, სხვა დაბა-სოფლებს.

ცოცხლად დაწვეს ხანდაზმული ქალები ჟ. წურწუმია, ვ. ჩარგაზია, ჰ. ჭაავა, შ. ჯოლოგუა, გ. განგია, ლ. ქვაჩახია, თ. ზანთარია, ბ. მალიშევა, ვ. თარბაია.

ეს ბარბაროსობა დღემდე გრძელდება. ტერორით, დაშინებით ცდილობენ სეპარატისტები ხელი შეუშალონ ლტოლვილთა დაბრუნებას. ამის დამადასტურებელი ფაქტები გამოძიებით მრავლად არის მოპოვებული.

გალის რაიონში მამა და ძმა ტერენტი და ემზარ ლემონჯავები დაბრუნდნენ სოფელში.

1994 წლის 26 ოქტომბერს სეპარატისტები თავს დაესხნენ სოფელს, გადაბუგეს დარჩენილი სახლები, მამა-შვილი დახვრიტეს დედის — თინა ლემონჯავას თვალწინ, გვამები დაწვეს.

1995 წლის 10 მარტს სოფელ ღუმურიშში, ზემო და ქვემო ბარღებში, ოტობაიასა და სხვა სოფლებში შეიჭრნენ სამხედრო ფორმაში ჩაცმული აფხაზი და სომეხი ბოევიკები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა აფხაზეთის ე. წ. შინაგან საქმეთა მინისტრი გივი აგრბა, დაარბიეს და გაძარცვეს ქართველთა ოჯახები, ადგილზე დახვრიტეს ყველა, ვინც კი რაიმე უკმაყოფილება გამოთქვა მოძალადეთა მიმართ.

1995 წლის 12 მარტს, სოფელ ნაბაკევში შეიჭრნენ აფხაზთა და სომეხთა შეიარაღებული ჯგუფები. გურამ ბაძაღუა, მამუკა კვარაცხელია, დათო ნარმანია, გურამ ხარჩილავა და რევაზ ჩერქეზია დააკავეს და მიიყვანეს ჩაის პლანტაციებში, სადაც დახვრიტეს ხარჩილავა და ჩერქეზია. დანარჩენები აიყვანეს ქვემო ბარღებში. იქ ნარმანია და კვარაცხელიაც დახოცეს.

1995 წლის 2 მაისს სეპარატისტი-ბანდიტები პირველ გალში თავს დაესხნენ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის ვლადიმერ მალაზონიას ოჯახს და პირწმინდად გაძარცვეს. მისი მეზობელი ვანო ინჯია კი იმისათვის დახვრიტეს, რომ უარი განაცხადა ნაძარცვის გადატანაზე. 6 მაისს ბოევიკები კვლავ დაესხნენ მალაზონიას, ამჯერად დარჩენილი მცირეოდენი ქონების პროდუქტების გასატაცებლად და სადისტურად მოკლეს ოჯახის უფროსი.

12 მაისს სოფელ ლოკუხონაში აფხაზმა მილიციელებმა უმიზეზოდ დახვრიტეს დაკრძალვაზე მისული ტრისტან და გენო გაჯაავები, გოდერძი პაპავა და მურმან ციკოლია.

28 ივლისს პირველ გალში ნუგზარ ასლანდია აფხაზმა მილიციელებმა სასტიკად სცემეს, შემდეგ ფეხებში დაჭრეს იმისათვის, რომ ჩხრეკვისას ქოხში ღომის ზედმეტი ულუფა უპოვეს.

30 ივლისს ღუმურიშში მურმან წულაიას მილიციის ფორმიანი აფხაზები დაესხნენ თავს. დააკავეს და იზოლატორში სასტიკად აწამეს, ცოცხალს სკალპი აჭრეს. მხოლოდ გაეროსა და რუსეთის სამშვიდობო ძალების ჩარევით მოხერხდა 3 აგვისტოს მისი გადმოყვანა ზუგდიდის საავადმყოფოში.

ის, რაც აფხაზეთში სეპარატისტებმა ჩაიდინეს და ამჟამადაც სჩადიან, არ არის მხოლოდ ეთნიკური კონფლიქტი,. შეკრებილი მასალები ადასტურებს, რომ კავკასიაში ფუნდამენტალისტური სახელმწიფოს დასაარსებლად სეპარატისტებმა ჩრდილოეთ კავკასიელი კონფედერატებისა და საზღვარგარეთელი სხვა თანამზრახველების მონაწილეობითა და ხელის შეწყობით დაგეგმეს ორგანიზებული შეთქმულება. აგრესიული ზრახვების აღსასრულებლად, რეგიონის გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით საჭირო იყო აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის — ქართველების ფიზიკური განადგურება და განდევნა. ამიტომ იყო, რომ სეპარატიზმის, ნაციონალიზმისა და ექსტრემიზმის შხამით მოწამლული უცხო ქვეყნების ათასობით მკვლელი შეუსიეს საქართველოს. პროკურატურის ხელთ არსებული მასალებით დასტურდება ისიც, რომ ქართველთა გენოციდში და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაში სეპარატისტებს ყოველმხრივ შეუწყვეს ხელი სამშობლოდან გაქცეულმა ექსპრეზიდენტმა და მისმა გარემოცვამ, სეპარატისტთა ლიდერებთან მათმა სინქრონულმა მოქმედებამ.

მხოლოდ ერთი მაგალითი:

1992 წლის 24 ივნისს დაგომისში დაგეგმილი იყო სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან. იმავე დღეს, ზ. გამსახურდიას ბრძანებით ვალტერ შურღაია შეიარაღებულ რაზმთან ერთად თბილისში თავს დაესხა სატელერადიოდეპარტამენტსა და სატელევიზიო ანძას. იმავე დღეს, და იმავე საათებში სოხუმში არძინბას ბრძანებით ე. წ. „აფხაზურმა გვარდიამ“ ფორსირებულად შეუტია და დაიკავა ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა. მათი შეთანხმებული და ერთობლივი მოქმედებების კიდევ მრავალი ფაქტის მოყვანა შეიძლება.

მაგრამ, მოდით აქ დავამთავროთ, თუმცა, ვრცელია, გენოციდის სისხლიანი სტატისტიკა. სეპარატისტთა დანაშაულის სამართლებრივ შეფასებას ეს დასკვნები და მონაცემები დაედო საფუძვლად.

საბოლოო სიტყვას, როგორც ყოველთვის, ქვეყნის უზენაესი სასამართლო იტყვის.

ესაუბრა

არმაზ სანებლიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

თბილისს — ახალი გენერალური გეგმა

რამდენიმე დღეა გერმანული ფირმა „ხანზოლუფტბილდის“ თვითმფრინავი ახდენს თბილისის ფოტოაგეგმარებას.

თბილისის მუნიციპალიტეტი გერმანული ტექნიკის დახმარებით აპირებს ხორცი შეასხას მნიშვნელოვან პროექტს „დედამიწის მენეჯმენტს“, რათა განხორციელდეს იმ მიწის საკარგულების რეგისტრაცია, რომლებითაც თბილისის ტერიტორიაზე, ახლა მთელ საქართველოში სარგებლობენ. შედეგად მიიღებენ მიწათსარგებლობის სურათს, შეივსება დედაქალაქის მიწის საკარგულების შესახებ მონაცემების ბაზა.

ფესტივალი რუსთავში გაიმართება

6 თებერვალს რუსთავში გაიმართა საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის სამუშაო თათბირი, რომელშიც მონაწილეობდა კულტურის მინისტრის მოადგილე მაია კობახიძე.

საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი დაფუძნდა რუსთავში 1995 წლის ოქტომბერში — კულტურის დღეების დროს.

თათბირზე განიხილეს ფესტივალის მომზადებისა და გამართვასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები. შესაბამის სამსახურებს დაევალა ქალაქი მოამზადონ ამ მნიშვნელოვანი მოვლენის ღირსეულად შეხვედრისათვის. საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის გამართვის თარიღად 1996 წლის სექტემბერი დადგინდა.

ბაზა.

ფუი ეშმაკს!

რესპუბლიკურმა პროკურატურამ ხელი მოჰკიდა საქართველოს საპატრიარქოსთან შექმნილი ფირმების საქმიანობის შესწავლას. წინათ მინისტრთა კაბინეტის სპეციალური დადგენილებით, საპატრიარქო განთავისუფლებული იყო ყველა სახეობის გადასახადებისაგან. ამასთან მხედველობაში იყო მიღებული რელიგიურ-საკულტო საქმიანობის უზრუნველყოფა.

ამ პრივილეგიით ისარგებლეს პირებმა, რომლებმაც საპატრიარქოსთან დააფუძნეს კომერციული ფირმები. ამ ფირმებს კი არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონიათ ეკლესიასთან. კერძოდ, საქართველოში შემოჰქონდათ ტვირთი და საქონელი, რომლებიც არსებული წესების თანახმად, მაღალი გადასახადებით იბეგრება. ისარგებლეს რა შეღავათებით, მათ მიითვისეს თანხა, რომელიც მილიონობით ამერიკულ დოლარს შეადგენს.

ეს საქინფორმის კორესპონდენტს აცნობეს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრში.

„მედიკოსის“ პრეზიდენტი დააკავეს

1994-95 წლების პერიოდში ფირმა „მედიკოსმა“ ყალბად შედგენილი დოკუმენტების, ხელშეკრულებების და მთავრობის ცალკეულ პირთა უკანონო დადგენილებების საფუძველზე, ბათუმის და ფოთის საბაჟოების გავლით, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ 29.555 ტონა ჯართი გაიტანა, რომლის ღირებულება 1.477.590 ამერიკული დოლარია.

30 ათასი ტონა ჯართის სანაცვლოდ ფირმა „მედიკოსს“ რესპუბლიკაში 5 ათასი ტონა სასურსათო ხორბალი უნდა შემოეტანა, რაც დღემდე შეუსრულებელია.

ფირმა „მედიკოსი“ საბაჟო ღირებულების და მოსაკრებლებისაგან უკანონოდ გაათავისუფლეს, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს 125000 ამერიკული დოლარი დააკლდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ და გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატმა ერთობლივად განხორციელებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად დააკავეს ფირმა „მედიკოსის“ პრეზიდენტი ლინგო ილიას ძე კოჩიძე.

ს გამოძიებას გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატი აწარმოებს.

საქინფორმი.

ტკივილიანი სეზონი

(დასასრული)

რი გზა გაიარა მან ამ საუკუნენახევრის მანძილზე. დღევანდელი ქართული თეატრი მსოფლიოს საუკეთესო თეატრების დონეზეა, იმდენად განივრცო და განდიდდა ქართული არტისტიზმის ფენომენი, რომ სანახაობა ლამის ცხოვრების წესად გვექცა.

ქართული თეატრის დღეს გაიხსნა დიდი ქართველი დრამატურგის პ. კაკაბაძის ძეგლი. კარგი იქნება, თუ ჩვენი თეატრები უფრო მეტად ჩაუღრმავდებიან პ. კაკაბაძის შემოქმედებას და გაითავისებენ მწერლის სიბრძნეს, სიბრძნე კი ყოველთვის თანამედროვეა!

მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ ქართული თეატრის საზეიმო დღეებში შობა-ახალწლისათვის გამოვიდა ორი სათეატრო გაზეთი — „ქართული თეატრი“, რომელიც კ. მარჯანიშვილის თეატრმა და თეატრის მოღვაწეთა კავშირის გამომცემლობა „ქართულმა თეატრმა“ გამოსცა და „ქართული თეატრის დღე“, რომელიც რუსთაველის თეატრის თანადგომით შეიქმნა. გაზეთები მოამზადეს თეატრმცოდნეებმა ქ. ნინიკაშვილმა, ქ. აბაშიძემ და გ. ცქიტიშვილმა, გაზეთების მთავარი ღირსებაა თეატრის მოღვაწეებისადმი კეთილგანწყობის, ჰუმანურობისა და ადამიანთა გამამხნევებელი ტენდენციის გამოვლენა. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს სწორედ დღეს, როცა ბოლო წლებში თავი იჩინა ავკაცობის სინდრომმა. მეტად საშიშია გაუტანლობით, სულმდაბლობითა და „ავკაცობით ტკბობის“ ყოველი გამოვლენა, რადგან იგი გავლენას ახდენს ახალგაზრდებზე, იწვევს მათი ზნეობრივი კრიტერიუმების შეცვლას.

როცა არსებითად იცვლება ადამიანთა ცხოვრება, გუშინდელი ღარიბი ხდება მდიდარი, ხოლო მდიდარი ღარიბი, როცა იცვლება საზოგადოებრივი მდგომარეობა, იცვლება შეფასების კრიტერიუმები, — ის, ვინც გუშინ ამაყობდა თავისი პროფესიით, დღეს განზე დგას მოკრძალებული, როცა ყველაფერი ირყევა, მაშინ უფასურდება ჰუმანისტური ღირებულებანი. გავიხსენოთ კაპიტალისტურ ქვეყნებში და მე-19 საუკუნის საქართველოში რა უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში იყვნენ გამოჩენილი მწერლები, მეცნიერები, მხატვრები, მსახიობები. ჩვენ რატომღაც დაგვავიწყდა მათი ბედი, როგორც ისტორიის გაკვეთილი. ეს პროცესი გრძელდება!..

ამ ფონზე მეტად ღირებულია და მხარდასაჭერი ადამიანური სიკეთის, თანადგომის ყოველი გამოვლენა. სხვათაშორის, ჩვენში გავრცელებულია თითქოს „უკომპრომისობა“ „პრინციპულობის“ ტოლფასი ცნება იყოს, მაშინ როდესაც იგი ღრმად იდეოლოგიზირებული, კომუნისტური, კლასთა ბრძოლის საფუძველზეა აღმოცენებული. „უკომპრომისონი“, იყვნენ „ხალხის მტრების“, „კაპიტალიზმის გადმონაშთების“, „კულაკებისა“ და სხვა „ანტიპარტიულთა წინააღმდეგ მებრძოლნი...

ქართულ თეატრს არსებითად მთელი ქართული ლიტერატურა ხელახლა აქვს გასააზრებელი. რეჟისურა მსოფლმხედველობაა და ამიტომ უკვე სხვა არის დამოუკიდებელი საქართველოს თეატრის „იდეოლოგიური კრიტერიუმები“. ჩვენი პროზა კი უმდიდრესი წყაროა ჩვენი თეატრისათვის. სამწუხაროდ, რეჟისორები უცხოურში ეძებენ იმას, რაც ქართულში უკვე არის გამოხატული. ამ მხრივ დიდი ზრუნვაა საჭირო. ქართული თეატრი ურთულეს დროსაც კი არ ყოფილა უცხოური ლიტერატურული პროცესებიდან იზოლირებული, კატეგორიულად არცერთი კულტურა არ ვითარდება, მაგრამ ეროვნული თეატრი უპირველესად „შინაგან წყაროებს“ უნდა ეყრდნობოდეს. ასევე მწვავე და მეტად რთული პრობლემაა ეროვნული შემოქმედებითი ენერგიის უცხოეთში გადინების პრობლემა. მართალია, აქ არ შეიძლება ერთმნიშვნელოვანი კატეგორიული პასუხი, რადგან იგი დაკავშირებულია საკითხთა ფართო წრესთან — მათ შორის ეკონომიურ პრობლემასთან, მაგრამ მტანჯველი ყოველდღიურობის მიღმა უნდა გვახსოვდეს **პროცესის ისტორიული ღირებულებანი. ისტორიული თვალთახედვით კი ის, რაც საქართველოს გარეთ იქმნება ქართველ ხელოვანთაგან, ჩვენი ხალხისათვის დაკარგული კულტურაა.** სულ სხვა არის, როცა ქართველი ხელოვანი საზღვარგარეთ დგამს ქართულ ნაწარმოებს, ეს პატრიოტული საქმეა. ასე მაგალითად, გ. ჟორდანიამ გერმანიაში დადგა ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, ო. თაქთაქიშვილის „მინდია“. სხვა შემთხვევაში, რასაც ქართველი ხელოვანი უცხოეთში ქმნის, იმავე ხალხის კულტურის ნაწილს წარმოადგენს. განა საქართველოსთვის დაკარგული არ არის, რასაც გენიალური კ. მარჯანიშვილი ქმნიდა რუსეთის უზარმაზარი იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში? ოცდახუთი წელი შესწირა მათ. როცა საქართველოში დაბრუნდა, თქვა: „ჩრდილოეთში ხანგრძლივი ტყვეობის“ შემდეგ ვბრუნდები ჩემს ქვეყანაშიო. მას ყოველთვის ახსოვდა საქართველო, მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა განუზომელი დანაკლისი იქნებოდა საქართველოსათვის, რომ მარჯანიშვილს ათი-თორმეტი წელი საქართველოში არ გაეტარებინა. ამ წლების გარეშე ვის იმახსოვრებოდა მისი სახელი? საქართველოს ისტორიაში ბევრია სხვა მწარე გაკვეთილებიც. გასაგებია სიხარული, როცა ქართველ კაცს უცხო ქვეყანაში აწინაურებენ, რეჟისორს სპექტაკლს ადგმევინებენ, ასპარეზი ეძლევა, მაგრამ ეს მხოლოდ მომენტალურ ემოციურ დონეზე რჩება, თუ ის საქმე, რომელსაც იგი აკეთებს საქართველოს ინტერესებს არ ემსახურება.

რ. სტურუამ მგონი თექვსმეტამდე სპექტაკლი დადგა საზღვარგარეთ. აქედან ერთი იყო „სამანიშვილის დედინაცვალი“, დანარჩენი უცხო. რ. სტურუას რომ ერთი სპექტაკლი მესხეთის თეატრში დაედგა, ქართული კულტურისათვის მას უფრო დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე საზღვარგარეთ დადგმულ მის სპექტაკლებს. ასეთია მწარე სინამდვილე!..

დღეს მეტად მტკივნეულად წარმოჩნდა „დაკარგული კულტურის“ პრობლემა, „დაკარგული“ ჩვენთვის, თორემ იმ ქვეყნისათვის, სადაც იგი იქმნება — შენამატია. **ჩვენისთანა პატარა ერს არა აქვს ამ პრობლემის მიმართ გულგრილი დამოკიდებულების უფლება,** მით უფრო, როცა კომუნიკაციის დღევანდელ პირობებში, დამოუკიდებელ ქვეყანაში, რომელ თეატრშიც არ უნდა დადგა მნიშვნელოვანი სპექტაკლი, თუ მას მხატვრული ღირებულება აქვს, ყველგან გაიჟღერებს, თუ არა და, რა მნიშვნელობა აქვს საშუალო სპექტაკლი გინდაც ლონდონსა და პარიზში დადგით, მაინც ვერავინ გაიგებს შენს სამშობლოს.

„დაკარგული კულტურის“ პრობლემა ცალკე საგანგებო საუბრების თემაა, რომელსაც სხვა დროს შევეხებით, ახლა კი ჩვენი სათეატრო სეზონის გასაჭირია უმთავრესი. თეატრებში მასობრივად იწყება ხელშეკრულებების პრინციპზე გადასვლა. ეს მნიშვნელოვანი მოვლენაა. ცოდვა-მადლის საქმეა. აქ სუბიექტური ფაქტორები უთუოდ იჩენს თავს, მაგრამ საჭიროა დიდი ადამიანური გულისხმიერება, ყოველ „მოკვეთილთან“ ინდივიდუალური საუბარი, მათი ღირსების დაცვა, პროფესიული მომთხოვნელობისა და ადამიანური საწყისის მთლიანობაში გააზრება, რათა მაქსიმალურად დავიცვათ ობიექტურობა.

ვასილ კიკნაძე,
„სრ“ თეატრალური მიმომხილველი.

არაგვი ბიზნეს ბანკი
ARAGVI BUSINESS BANK
სააქციო-კომერციული ბანკი
„არაგვი
ბიზნეს ბანკი“
აგრძელებს კრედიტების გაცემას ფიზიკურ პირებზე
ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში
(აშშ დოლარი) ძვირფასი ლითონისა
და ქვების დაგირავებით.
კრედიტის გაცემა წარმოებს ყოველდღე
14 საათიდან 16 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა.
ცნობებისათვის დარეკეთ:
93-25-94, 99-82-23, 37-44-51
ჩვენი მისამართია: ვაჟა-ფშაველას გამზ. 16. I სართული
არაგვი ბიზნეს ბანკი
ARAGVI BUSINESS BANK

ტელევიზია ფილმები

დღეს, 8 თებერვალს

„კავკასია“
12.00 — იაპონური მხატვრული ფილმი „ბონ ბილ დონი“.

მეორე არხი
22.15 — რუსული მხატვრული ფილმი „ამერიკელი ასული“.

„ოსტანკინო“
19.20 — „ტროპიკელი ქალის საიდუმლო“;
22.50 — კატრინ დენევი და ომარ შარიფი მელოდრამაში „მაიერლინგი“.

„რუსეთის“ არხი
19.55 — „პეტერბურგის საიდუმლოებანი“;
21.35 — „სანტა-ბარბარა“.

ამინდი

8 იანვარს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ, იქროლებს წამში 10-15 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, ტემპერატურა ბარში ღამით 0+5, დღისით +8+13, მთაში — ღამით —3+2, დღისით +5+10, მაღალ მთაში — ღამით —3—8, დღისით 0+5 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება მშრალი ამინდი, ზოგან ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით —2+3, დღისით +6+11, მთაში — ღამით —2—7, დღისით +3+8, მაღალ მთაში — ღამით —7—12, დღისით —2—7 გრადუსი.

თბილისშიც მშრალი ამინდია მოსალოდნელი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ღამით 0+2, დღისით +8+10 გრადუსი.

ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისგან

მუსიკის ელდორადოში ერთი ვიზიტის გამო

„საფორტეპიანო ზეცას ახალი ვარსკვლავი შეემატა“, — წერდა ელისო ბოლქვაძის ნიჭით აღფრთოვანებული ფოლკერ ბოზერი მიუნხენის „აბენდ ცაიტუნგში“ 1989 წელს.

მას შემდეგ ექვსი წელი გავიდა. ამასობაში ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ, უამრავ ტურნე-კონცერტით გაიბრწყინა მსოფლიო მუსიკის ცარგვალზე.

ევროპიდან ამერიკამდე ჰელიოსის ეტლით იარა და, რასაკვირველია, ყოველი მისი გამოსვლა უამრავი პუბლიკაციის, სტატიის, კრიტიკის, გამოხმაურების საგანი ხდებოდა.

დღეს, როდესაც ზემოხსენებული „ახალი ვარსკვლავი“ თავისი ელვარებით თითქმის მზეს გაუპირისპირდა, — სწორედაც საფრანგეთში, პარიზში, მსოფლიო ხელოვნებისა და კულტურის ამ მექაში — ინება განგებამ, რომ ელისო ბოლქვაძეს ყველაზე დიდი გამარჯვება ხვდომოდა წილად.

მარგერიტ ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატობა არა მარტო უმაღლესი საერთაშორისო პრესტიჟი და აღიარებაა, არამედ საშემსრულებლო ოსტატობის ერთ-ერთი ურთულესი და ულმობელი საჭიდაო მარათონი გახლავთ.

ფრანგები, რომლებიც საკმაოდ დახვეწილი გემოვნებისა და რაფინირებული ჭვრეტის ხალხია, ყოველთვის უდიდესი სიფრთხილით, სიფაქიზითა და „ასჯერ გაზომესა და ერთხელ გაჭრის“ ფილოსოფიით ეკიდებიან ნებისმიერ ახალ გამოვლენას, მეტადრე, თუ ეს მოვლენა „უცხოური ფენომენის“ დამღას ატარებს.

...იმ საღამოს სენ-მანდეს (პარიზის რეგიონის ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი ქალაქია) მერიის სადღესასწაულო დარბაზი იშვიათი ელეგანტურობით ბრწყინავდა. ტრადიციად ქცეულა თურმე: ამ ქალაქის მერია დიდი ზარ-ზეიმით ხვდება საფრანგეთის ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსის პირველ პრიზიორებს. ამჯერად ელისო ბოლქვაძეს მასპინძლობდა ვალ-დე-მარნის დეპარტამენტის ეს კოხტა ქალაქი. კონცერტი მიეძღვნა სამსონ ფრანსუას — საფრანგეთის ყველა დროის უდიდესი პიანისტის — მარგერიტ ლონგისა და ჟაკ ტიბოს სახელობის კონკურსის პირველი გრან-პრის ლაურეატის (1943 წ.) ხსოვნას და მისი გარდაცვალების 25-ე წლისთავს.

პროგრამაში იყო მოცარტი, შოპენი და რაველი. იყო ემოცია, რეალიზმი და ფილოსოფია ერთდროულად, რაც ელისო ბოლქვაძის ვირტუოზული ტექნიკისა და „მუსიკალური ფერებით აზროვნების“ (მიშელ ფუკო) კონკრეტული პროდუქტია. მოცარტის სონატა სიბემოლ მაჟორი — ელისო ბოლქვაძის შესრულებით წარმოჩნდა როგორც ერთგვარი რომანტიკული სკულპტურა, რომლის არქიტექტურული ქარგა — ალეგროს, ადაჟიოს, რონდოსა და ალეგრეტოს ღვთიური განგებულობით საოცრად მიმზიდველი, ცხოველმყოფელი და ერთდროულად მგზნებარე ფენომენად იღვრება დარბაზში, თხემით ტერფამდე გძრავს და სუნთქვას გიკრავს.

რაველის პოემები ფორტეპიანოსათვის — ნამდვილი ტრიუმფი შეიქმნა ფრანგი მსმენელისათვის, აკი, სპეციალური პრიზი დაიმსახურა ელისომ ზემოხსენებულ კონკურსზე ფრანგული მუსიკის საუკეთესო შესრულებისათვის. მე ვიტყოდი, რომ ელისოს რაველი — ფრანგული სულის მოძრაობის უიშვიათესი ასახვაა, იმპრესიონისტული მუსიკალური ჩუქურთმის ოსტატის მრავალმხრივი ნიჭისა და ზებუნებრივობის ცოცხალი, განუმეორებელი ინტერპრეტაციაა, და მართლაც რომ „ანგელოზის წირვა“ დადგა ამ პატარა დარბაზში, როდესაც სმენაგანაბული მსმენელი თავისი შათაყვანებელი კომპოზიტორის ენით აუწერელი სილამაზის, მუსიკალური ფერების ტალღებმა შთანთქეს.

შოპენი — ელისოს ერთ-ერთი ულამაზესი სტიქია, რომანტიკა, ცეცხლი, ვირტუოზული პასაჟები და პათეტიკური კავალკადა ენაცვლებოდა ერთმანეთს შოპენის მე-4 სკერცოში, რაც პიანისტის იშვიათი, ამოუწურავი ენერგიისა და უშრეტი ფანტაზიის განუმეორებელ სურათად აღიქმებოდა. ჩვენ იმავე საღამოს ინტერვიუ ვთხოვეთ ბ-ნ **როლან ფორს, მარგერიტ ლონგისა და ჟაკ ტიბოს ფონდის პრეზიდენტს** (ბ-ნი ფორი მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა „რადიო ფრანსს“, ხოლო შემდეგ ამ ყველაზე სოლიდური მედიის მუსიკალური კონსულტანტი გახლდათ):

— **უდიდესი სიხარულის გრძნობით ვმასპინძლობ დღეს თქვენს თანამემამულეს, რომელმაც კონკურსის 102 კანდიდატიდან ლაურეატის საპატიო წოდება მოიპოვა. მსოფლიოს ყველა კუთხიდან მონაწილეობდნენ პიანისტები ამ პრესტიჟულ საერთაშორისო მარათონში და ელისო ბოლქვაძემ ჭეშმარიტი ფურორი მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ მას საკმაო უსიამოვნება მოუტანა ჟიურის თავმჯდომარესთან ბ-ნ ბერმანთან (რუსეთის ფედერაცია) კონფლიქტმა, — ქართველმა პიანისტმა ბრწყინვალე ახე აჩვენა და დღემდე ვთვლით, რომ იგი უსათუოდ იმსახურებდა გრან-პრის, რომელიც ჟიურის გადაწყვეტილებით არავისთვის არ მიუკუთვნებიათ. დღეს სან-მანდეში — ამ პატარა, ლამაზ დარბაზში ფრანგმა მსმენელმა ოვაცია გაუმართა ელისოს ტალანტს, მეტადრე კი რაველის მისეული ინტერპრეტაცია უსაზღვრო ჰარმონიის ამოუწურავი ტალანტია და ვნებათაღელვის განუმეორებელი ნიმუში გახლდათ, ელისო უსაზღვროდაა შეყვარებული თავის ხელოვნებაზე და ის კიდევ ძალიან შორს წავა!**

და ვიდრე ჩვენი სასიქადულო თანამემამულის საპატივსაცემოდ გამართულ ბანკეტზე გადავინაცვლებდით, სენ-მანდეს მერმა, ვალ-დე-მარნის დეპარტამენტის გენერალურმა მრჩეველმა, ეროვნული ასამბლეის დეპუტატმა ბ-მა პატრიკ ბოდუენმა თავისი შთაბეჭდილებები გაგვიზიარა კონცერტის ირგვლივ: „ჩვენთვის ყოველთვის დიდი პატივი და სიამოვნებაა, ვუმასპინძლოთ აღმოსავლეთ ევროპიდან გამოჩენილ ახალ ტალანტებს. თქვენი თანამემამულის ხელოვნებაში მე ვიგრძენი არაჩვეულებრივი სიმსუბუქე და თავისუფლება. თავდავიწყებამდე შეყვარება მის პროფესიაში. ელისო ბოლქვაძემ ამ საღამოს უსაზღვრო სიხარულის, შვებისა და სპონტანური ენთუზიაზმის სული შთაგვბერა“.

აქვე დავამატებთ, რომ ელისოს ტალანტის აღიარება ამით არ დამთავრებულა, ჩვენი თანამემამულე მიწვეულია ა. წ. „ეკოლ-ნორმალ დე სუპერიერის“ (პარიზის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი მუსიკალური ინსტიტუტი) პროფესორის ასისტენტად. მან უკვე ორი საჩვენებელი გაკვეთილი ჩაატარა მოცარტისა და ბეთჰოვენის სონატების ილუსტრაციებით. ხაზგასასმელია, რომ ამ მუსიკალური დაწესებულების პრეზიდენტი, ბ-ნი პიერ პეტი გაზეთ „ლე ფიგაროს“ წამყვანი მუსიკალური მიმომხილველი და კრიტიკოსია და თანაც ფრანგულ მუსიკალურ საზოგადოებაში საკმაოდ ცნობილია მისი მსუსხავი, მკაცრი და გამოწვლილვით ობიექტური დამოკიდებულება ნებისმიერი ახალი მუსიკალური ფენომენის მიმართ. და რაოდენ სასახელოა, რომ სწორედ მისი უშუალო მხარდაჭერით გახდა ელისო „ეკოლ-ნორმალ დე სუპერიერის“ სტუდენტი. იგი მიიღებს ერთი წლის განმავლობაში რუსელის სახელობის სტიპენდიას და იმუშავებს ე. წ. მეშვიდე დიპლომზე, რომელიც შეესაბამება ჩვენეულ საკანდიდატო დისერტაციას და ძალიან პრესტიჟულ ვიზას იძლევა საერთაშორისო სარბიელზე.

კონცერტის მეორე დღეს ჩვენ შევხვდით **ელისო ბოლქვაძეს** საქართველოს საელჩოში და ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვით გაეზიარებინა პირადი შთაბეჭდილებანი.

— ჩემთვის ჭეშმარიტად დიდი პატივია „ეკოლ ნორმალ დე სუპერიერ დე პარია“ პედაგოგ-მასწავლებელთა გვერდით მუშაობა. ამ უმაღლეს სასწავლებელში ტრადიციულად იწვევენ მსოფლიოს ყველა კუთხიდან (მათ შორის მოსკოვიდან და სანქტ-პეტერბურგიდან) საუკეთესო პროფესორ-მასწავლებლებს ღია გაკვეთილების ჩასატარებლად. საქართველო მათთვის ნამდვილი აღმოჩენაა. ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური და გადატანილი პოლიტიკური არასტაბილურობის მიუხედავად, კიდევ შესაძლებელია არსებობდეს ისეთი მუსიკალური კულტურა, რომელიც მსოფლიო სტანდარტებს უწონასწორდება. ამ მხრივ სასიხარულოა, რომ წელს კორტოს დარბაზში, სადაც მე უკვე ორი გაკვეთილი მივეცი, ჩამოვა თბილისის კონსერვატორიის რექტორი ბ-ნი ნოდარ გაბუნია, რათა კიდევ უფრო ახლოს გააცნოს ფრანგ მუსიკოსებს ქართულ მუსიკალურ ტრადიციებს. ეს, რასაკვირველია, არ ეხება ბ-ნ ჯანსუღ კახიძეს, რომელიც ისეთივე პოპულარულია დღეს საფრანგეთში, როგორც ჩვენთან. ამ უსაზღვრო ტალანტის და ფართო მასშტაბის დირიჟორის მონაწილეობა მსოფლიო რანგის სიმფონიური ორკესტრების კონცერტებში დღეს ჩვეულებისამებრ აღიქმება მაშინ, როცა ქართველი პიანისტი-რესიტალი (სოლო კონცერტი) ნიადაგ გაკვირვების საგანია.

— მომავლის გეგმები?

— თებერვალში მონაწილეობას მივიღებ სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო ფესტივალში, შემდეგ კი — აპრილის თვეში, ვენაში მიმელიან. მაისში კვლავ პარიზს დავბრუნდები, სადაც სამი ახალგაზრდა მუსიკალური ფესტივალის პროგრამაში მომიწევს მონაწილეობა.

— თქვენი ყველაზე დიდი სურვილი?

— ქართული მუსიკალური ტრადიციებისა და თანამედროვე მუსიკალური კულტურის ექსპორტი კიდევ უფრო მეტი სიხშირით ამოძრავებულიყოს და აღარასოდეს აღარ დამჭირვებოდეს ცნობისმოყვარე ევროპელებისათვის იმის ახსნა, თუ რა არის საქართველო.

ვლადიმერ ზარიძე,
პარიზი, იანვარი.

წიგნი

„კანდელის“ ნათელი

წიგნი წმიდა წმიდანისა



ჭეშმარიტად დიდ ეროვნულ საქმიანობას შესდგომოდა აგერ, ახლახან დაარსებული საწიგნო-საგამომცემლო ორგანიზაცია სახელწოდებით — „ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის ფონდი“, რომელსაც წინამძღოლობს ქალბატონი ირინე აბულაძე.

დაარსებიდან რაღაც ორი წელი და, ამ ფონდის გამომცემლობამ — „კანდელმა“, ასეთ უსიშველო უქაღალდობის პირობებში, ზედიზედ გამოსცა პირდაპირ ქართული მაღალკულტურული მაგიდის სამშვენისი წიგნები: ვახტანგ ბერიძის „XVI-XVII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება“, მიქელ თარხნიშვილის „წერილები“, კალისტრატე ცინცაძის „ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია ტფილისში“. და, აი, ჩემს წინაა მეოთხე, სწორედ უნიკალური წიგნი — **გრიგოლ ფერაძის „უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ“.**

სახელწოდებითვე ნათელია მკითხველისათვის რა განზომილებითი და მოცულობითი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ქართული ეკლესიის და საერთოდ ქართული ეროვნული ისტორიის შესასწავლად ასეთ წიგნს, თანაც ასეთი ავტორობით.

ვინც ეს წიგნი გამოსაცემად მოამზადა, თვითონ შესანიშნავი ისტორიკოსი, პროფესორი გოჩა ჯაფარიძე, შესავალი წერილით და წინასწარი კომენტარებით — წინასწარვე წარმოუდგენს მკითხველს ჯერ ავტორს, მერე თვითონ წიგნს.

აი, ავტორიც — გრიგოლ ფერაძე, აწ ქართული ეკლესიისგან წმიდანად შერაცხული, განსაცვიფრებელი ცხოვრებისა და თავგადასავლის მქონე ქართველი კაცი — მრავალმხრივი აზროვნებით არისტოლოგოსი, ჭეშმარიტი გმირი და წმინდანი, საქართველოს უახლესი ისტორიის გმირთა სამების პირველი წევრი (მეორე და მესამე — გია აბესაძე და ჟიული შარტავა); ზოგად-მოყვასისა და მშობელი ერის გამოფხიზლება-გადარჩენისთვის თვითშეწირვა!.. აი, გმირობანი საქართველოს უახლეს ისტორიაში ამ სამება-მოწამეთა — ჰეროიზმი, რომელმაც „ანგელოზნი განაკვირნა და ეშმაკნი სირცხვილეულ-ყო...“

ახლა თვით წიგნი — არსენ იყალთოელის ზმნა რომ მოვიშველიოთ — როგორ „იღუწლა“ გრიგოლ ფერაძემ მის შესადგენად — უცხოელ ავტორთა ცნობების თავმოსაყრელად, იმ ცნობებისა, რომლებიც ფასდაუდებელ წყაროებად გვევლინებიან საქართველოს გარეთ ქართველთა კულტურული ნაღვაწის შესასწავლად, თითქმის მთელი ორი ათასი წლის გასწვრივ. თვითონვე ბრძანებს ავტორი: „ასეთი მასალის შეკრება მთელი სამეცნიერო ინსტიტუტის ან საზოგადოების საქმე გახლავთ და არა ერთი კაცისა, რადგანაც სჭირდება მრავალი წინასწარი კვლევა, მოგზაურობა და გაუთავებელი ძიება ბიბლიოთეკებში“. და, მაინც შეძლო შეუძლებელი ამ საოცარმა მარტოხელა და მარტოსულმა ქართველმა კაცმა, თვითონვე უკეთილშობილესმა პილიგრიმმა, ამ სიტყვის ორივე გააზრებით — „მლოცველობითაც“, „უცხოობითაც“ (ლათინურიდან — „პერეგრინუს“ — „უცხოელი“), სწორედ მარტოდვე შეესრულებინა „მთელი სამეცნიერო ინსტიტუტებისა და საზოგადოებების“ შესატყვისი სამუშაონი.

და ამშვენებს ახლა ქართველი კაცის მაღალკულტურულ საწიგნობელს წიგნი ესე — თვითონ საპილიგრიმო-სალოცავ-საკურთხეველი.

ბოლოს, ამ წიგნის სარეკლამო ნაწილში „კვლევის ფონდი“ გვპირდება, რომ დღე-დღეზე კულტურული წიგნის ბაზარზე (კულტურული-მეთქი!) შემობრძანდება მორიგი, კვლავაც [illegible] წიგნი — მიხეილ თამარაშვილის „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“. კეთილი იყოს მისი მობრძანება.

საგანგებო მადლობით უნდა მოვიხსენიოთ ყველა, ვინც ასეთი წიგნების გამოცემის საქმეში საქველმოქმედო ხარჯებს არ იშურებენ. სამაგალითოდ, მრავლისმეტყველია განხილული წიგნის პირველი ფურცლის გადაშლისთანავე ეს მინაწერი:

„წმიდაო გიორგი, შეიწყალე და იხსენ ყოველნი ბოროტისაგან შემომწირველი ამა წიგნისა თამაზ მაღლაკელიძე“.

ჩვენც ისღა დაგვრჩენია დავურთოთ: „ამინ“!

ლევან სანიკიძე.

მამა ვალიკო, მეუღლე ლალი ვაჭარაძე, შვილები ირაკლი, ალეკო, თიკო, და ია, სიძე დათო ლონიაშვილი, დისწულები გიორგი, ქეთინო, სიდედრი ვენერა ლვანია, ცოლისძმა ვახტანგ ვაჭარაძე, რძალი ინგა მასხულია შვილებით, ბიძები ამირან ლომაია, დუდუ გვარამია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლევან ვალიკოს ძე ლომაია

პანაშვიდი 8 II 4 ს. გამოსვენება 9 II 10 ს. თბილისი, მუხიანის დასახლება 11 მიკრორაიონი, XI კორპუსი, ბინა 47, დაკრძალვა 10 II 8 ს. ფოთში, ბარათაშვილის 3.

საქართველოს რესპუბლიკის პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის კორპორაცია დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორი

ედუარდ კარლოს ძე სიხარულიძე

და თანაუგრძნობს მის ოჯახს.

მორიგე რედაქტორი არჩილ სანებლიძე.

გამომცემელი — შპს „პრესა“ რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ბ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 68424. ტელ.: 99-78-24. მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.